

976  
9  
1976



# ეპიზოდები

## „შევარდენის“

### ცხრვილებისან

#### 6. ფასლობა

— სათევზაოდ გაუწევიათ...

მეც მგზავრთა საუბარს მივყევი...  
მობურთალი ბიჭუნების თუ თევზა-  
ობის მოყვარულთა კვალმა ქვიშე-  
თის საბჭოთა მეურნეობის ბალ-ვენა-  
ხებით გარშემორტყმულ განათლე-  
ბის, უმაღლესი სკოლისა და სამეც-  
ნიერო დაწესებულებების მუშაკთა  
პროფესიულის რესპუბლიკურ ბანაკ  
„შევარდენში“ მიგვიყვანა.

ზურაბ ჩიხლაძე.

ქვიშეთის ბაქნიდან მგზავრებს  
ხშირად შეუნიშნავთ შტკვარზე გაბ-  
მულ ბეჭვის ხილზე ბავშვების გრძე-  
ლი მწკრიავი.

— სათივისქენ მიდიან, სოფლის  
კალათბურთელებს ეჭიბრებიან.



ნანა ცეიცურიშვილი.

უღეს თქვენს ყურადღებას წუ-  
ლუკიძის მე-2 საშუალო სკოლის  
მოსწავლის ზურაბ ჩიხლაძისა და  
ტყიბულის მე-4 საშუალო სკოლის  
მოსწავლის ნანა ცეიცურიშვილის  
ჩანაწერებზე შევიჩერებ. ისინი ამ  
ზაფხულს ბანკ „შევარდენში“  
400-ზე მეტ თანატოლთან ერთად  
შრომობდნენ და იწრთობოდნენ.

#### შველა თავის

#### შესაძლებლობას ამჟღაპნებს

„ელვა-კონცერტი“ ბანაკის ერთ-  
ერთი ყველაზე საინტერესო ღონის-  
ძიებაა. მისი გამართვა სკოლაშიც  
თავისუფლად შეიძლება. თავიდან,  
სანამ ურთიერთს გვიცნობდით,  
ერთმანეთისა გვერიდებოდა, არ ვი-  
ცოდით, ვის როგორი ხმა ჰქონდა.  
ვინ ცეკვავდა, ვინ იყო კარგი დექ-  
ლამატორი. როგორც კი კონკურსი  
გამოცხადდა „ჩვენ ვეძებთ ტალან-  
ტებს“, ყველას ჩვენი რაზმის წარმა-  
ტება გვსურდა, ყველა ვეცადეთ და  
სახელდახელოდ დიდი კონცერტი  
გავმართეთ... ერთი კი არის, ყველა  
შეკრებასა თუ კონკურსზე, შეჯიბ-  
რებაში ყოველთვის ის იმარჯვებს,  
ვინც მონდომებულია, სიმღერაც  
იცის და ლექსის მხატვრულად წა-  
კითხვა შეუძლია, შრომა არ ეზარება  
და სპორტი უყვარს. აქ შენი სკოლის



ბანაკის საზომო დაურგვის  
დოროშიანი.

წარმომადგენელი ხარ და იგი არ უნდა შეარცხვინ; ამბობენ, ბაზაში, როგორც სარეკლამი, ისე ჩანსო შენი რაზეც ული, აქ ხომ ყველაფერი ხელისგულზეა. ვინც ამ მოთხოვნებს ასრულებდა, ყოველთვის გამარჯვებული გმოტიოდა კონკურსებში. „აბა, გოგონებო!“, „აბა, ბიჭუნებო!“ „ჩენ ვეძებთ ტალანტებს“, აქტიურობდა კალათბურთის, ფრენბურთის, შაშისა თუ ჭადრაკის სექციები, მონაწილეობდა სოფლის ბავშვებთან გამართულ სპორტულ შეჯიბრებში, ასევე ჩვენს შეზობლად მუდარე კულტურის მუშაქთა რესპუბლიკური ბანაკის ნორჩ დამსვენებლებთან. კაბინის რაიონის სოფელ ზემო ხანდაკის მოსწავლე, ბანაკის რაზეც ულის საპჭოს თავმჯდომარე ლალი გერმანიზაშვილი ამბობდა: ამ კონკურსების გამოცდილებას ჩემს რაზეც ულში ჩავიტან, წლეულს ჩემთვის ბანაკური სახსოვარიც ეს იქნებაო...

„შევარდენში“ შრომასაც დიდი ადგილი ეთმობოდა. საძილე კორპუსებისა თუ ბანაკის ვრცელი კარ-მიდამს დალაგება-დასუფთავების გარდა სხვა დავალებაც შეიღეთ, ნიშანის რაიონის 22 ტონა სამურაბე წენვა უნდა ჩაებარებინა, თოთო ბანაკზე თითო ტონა დაიგეგმა, ჩვენ ამ საქმეშიც არ შეგვირცვენია თავი.

სამკურნალო მცენარეებისა და ხილ-კენკროვანთა შეგროვების პიონერულ ერთოვეურში — „მრავალ-ძარღვაში“ ჩავერთეთ. ჩვენი წვლილი შევიტანეთ ამ დიდი მნიშვნელობის სახელმწიფო ბრივ საქმეში.

**ნანა ციცურიშვილი.**

## შეხვედრები

ამას წინათ ბანაკში გვესტუმრნენ პოეტები ვახტანგ გორგანელი, ბორის ფოცხვიშვილი, იოსებ ნიშნიანიშვილი და შოთა ნიშნიანიშვილი. განსაკუთრებით დაგახსნომდა შ. ნიშნიანიძის ლექსი „კომუნისტები“. არ დაგვავიწყდება ხაშურის ვეტერან პიონერთა საბჭოს თავმჯდომარე ვახტანგ ჩიქოვანთან სტუმრობა, საქართველოს კა ხვ ყრილობის დელეგატებთან შეხვედრები. აქ დავრწმუნდი ზაფხულისა და სპორტის მემკობრეობაში. ხაშურის რაიონში განლაგებული ბანაკების სპარტაკიანი ადამი მივიღეთ მონაწილეობა. მესამე ზონის მონაწილენი ჩვენი ბანაკის სასპორტო ბაზაზე შეხვდნენ ერთმანეთს. 4 სახეობაში სპარტაკიანის ჩემპიონი „შევარდენი“ გახდა.

წულუკიძეში ეთერ ხელმძღვანე-

ლის მომზადებულ ბევრ ზეიმსა და მანიფესტაციაში მიმილია მონაწილეობა, მაგრამ ხაშურში გამართული მანიფესტაცია „ახალგაზრდობა ამხელს იმპერიალიზმს“ სულ სხვა იყო, რაიონის პიონერული და კომკავშირული დროშის შემოტანის უფლება ჩვენს ბანაკს ერგო, უკრავდა პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის სასულეორეულისტრი, რომლის 50 წევრი ჩვენთან ერთად ისვენებდა ბანაკში.

**ზერაბ ჩიხლაძე.**



\* \* \*

## ჩემი მეგობრების ჩანაწერები

არ მიყვახს, როცა სკოლაში თუ ბანაკში მეგობრობის ნიშნად გვარსა და სახელს წინსაფრებზე, მაისურებზე და, წარმოიდგინეთ, პიონერულ ყელსაცვევზე აწერენ ხოლმე, ეს რა სამახსოვროა, ან კიდევ რა შესანახი... რვეული კი სულ სხვაა, 50 წელიწადი რომ გვიდეს, გადაფურცლავ და მაშინვე გაგახსენდება ყველაფერი, სად ყოფილარ, ვის შევედრისარ და რა მოვწონებია. ერთ დღეს ჩამოვარე და ბანაკში მეგობრებს ვთხოვე, ჩვენი ბანაკის ცხოვრებიდან ერთი ეპიზოდი გაიხსნეთ და ჩამიშერეთ-მეთქი. მათაც ოხოვნა შემისრულებს.

**დარეგან მანაგაძე:** — დილის ბინბუნდმა მტრედისფერი კალთები იყეცა. გზა მზის ბრწყინვალებას დაუთმო. სიხარულის დილა გაგვითენდა.

**მალე გავიცანი ჩვენი რაზელები.**

ჩვენთან საქართველოს თოთქმის ყველა კუთხიდან არიან ჩამოსული. რაზმის ხელმძღვანელმა რაზმის სახელი შევგარჩევინა და დევიზიც მოვითიქრეთ დავიწყეთ რაზმის სიმღერის შესწავლა.

წყნარი საათის შემდეგ ქვიშხეთის ტყეში წავედით, ფიჩხი მოვაგროვეთ. როცა დაბინდდა, ბანაკის მოკლაზე ისეთი კოცონი ავაგიზგიზეთ. ასე მეგონა, მისი ალი ცას სწვდებოდა. ეს სალამო არასოდეს დამავიწყდება.

**ლია ქაროსანიძე:** — იმ საღამოს ბანაკში სევდიანი სიმღერები გაისმოდა. გმორების გახსენების დღე იყო. ვატივი ვეცით დიდ სამამულო მში დაუპულთა სსოვნას, რომლებმაც მხოლოდ ოციოდე ზაფხული იცოცხლეს. ყველა პიონერმა თავისი სოფლიდან, რაიონიდან მში დაღუპულთა ბორგარაფიები გავვაპნო. ჩვენ მათ ნათესავებს დავუკავშირდებით.

**ზურაბ ნადირაძე:** — ბორჯომში მატარებლით ჩავედით. დავათვალიერეთ ბორჯომ-ბალი, დიღებჭისა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმი; მოვისმინეთ საინტერესო საუბარი, „ბორჯომის ხეობა ცნობილია მსოფლიოში“.

მეორე დღეს სააკაძის ველზე გავედით. აქ სახელოვან წინაპრებზე გვესაუბრენ.

... ჩანაწერი ბევრი დამიგროვდა.

მიყვარს მათი გადაკითხვა. მეგობრების ჩანაწერებს ჩემს ქვიშხეთურ დღიურებთან ერთად შევინახავ. მათთან ვიმეგობრებ.

ნანა ციცაზობილი.

\* \* \*

## ნადია კურჩენაძე „შევარდენში“

საიდუმლო ვერ შევინახეთ, მთელ ბანაჟში გახმაურდა. სიმღერამ გაგვცა. ცველის მეორერაზმელთა სახელი ეკრა პირზე. გვეამაყებოდა, რომ ჩვენი ნიკო ხელმძღვანელი იყო ოპერის „ტრაგედია ცაში“ მუსიკისა და ლიბრეტის ავტორი. ნიკო მუმლებე კი ისეთი კარგი და საყვარელი ადამიანია, ახლაც ხშირად მომენტება ხოლმე. მისი ოპერა მამაცი კოქევშირელის, ნადევდა კურჩენოს ცხოვრებას ეძლვნება, რომელმაც საკუთარი სიცოცხლე გასწირა. 1970 წელს საპარი მექობრეებისა განასახი საბჭოთა თვითმფრინავისა და საბჭოთა მოქალაქეების სიცოცხლის გადასარჩენად ცველაფერი გააკეთა. აკი ჩვენი რაზმის სახელწოდებად „უკვდავება“ იყირჩიეთ.

კურჩენოს როლის შემსრულებელი მანანა ჯაბუა მეზობელი რაზმითან მოვიწვიოთ, ასევე — მისი მეგობრებიც.

... მთელი ბანაჟი მღეროდა ნადეუდა კურჩენოს არის, მისი მეგობრების მისამერის: ნანინაო ნანა, ნანა ნანინაო. ოპერაში 60 ბავშვი მონაწილეობდა. 20 პიონერი სხვადასხვა რაზმითან მოვიწვიოთ. ჩვენი ხელმძღვანელი ნიკო მუმლებე ხაშურე-

ლია. როცა პიონერი იყო, თურმე ზაფხულს სულ ბანაჟებში ატარებდა. ნიკო ხელმძღვანელმა პოლიტექნიკური ინსტიტუტი დამთავრა, ახლა კერამიკის სამეცნიერო-კვლევითი საკუმშირ ინსტიტუტის ასპირანტია, ბანაჟს მიანც ვერ უღალატა.

მე ოპერა არ მიყვარს, ალბათ იმიტომ, რომ არ მესმოდა, რამდენჯერ ტელევიზორი გამომირთავს, როცა ოპერას გამომსცემდნენ ხოლმე. აქ კი ჩვენ ვიყავით მომღერლებიც, სცენის მუშებიც, კასტიუმებიც თვითონ შევიკერეთ... ჩემი რაზმი რაზმეულის ცველა წამოწყების აქტიური მონაწილე გახლდათ.

ზურაბ ჩიხლაძე.

## „არწივები“

როცა რაზმს ეს სახელი მოვუძებნეთ, რაზმის დევიზი ანო მასწავლებელმა გვიყარნახა: „ლალად ვიფრინოთ უღრუბლო ცაზე“. ჩვენი რაზმის ხელმძღვანელი ბიძინა ხაჩიძე ქვიშეთელია, მან კარგად გაგაცნო სოფლის მიდამოები, მისი შემოგარენი. მანვე შევახვედრა საბჭოთა მეურნეობის დირექტორს. დახმარება შევთავაზეთ, გნებავთ, ვენახში თუ ბალ-ბოსტანში ვიმუშავებთო. იქ ასე გვითხრეს, მუშახელი გვყოფნის, ჯერჯერობით არ ჩამოვრჩებით, როგორც კი დაგვირდებით, მოგონიმობთო. ჩანჩქერიც მან გვიჩვენა. ნახშირლელის სათავისკვნაც მან შაგვიყვანა. მასთან და ანო მასწავლებელთან ერთად ციცაბო კლდეები, საცალფეხო ბილიკები, წინაღობები გადავლახეთ.

ბანაჟში არც ერთი დღე არ ჰგავდა ერთმანეთს, თუ ერთ დღეს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის რევაზ თვართქილაძის სტუდიობით გავიხარეთ, მეორე დღეს პირველი რაზმელების სპორტული შეჯიბრებებითა და კონცერტებით ვიყავით გატაცებული. აკი ასეც ეწერა მათ საძინებელ კორპუსზე. „მუსიკა პლუს სპორტი“. მათ რაზმს „მელოდია“ ურქვა, ცველვამბობით, სპორტს მუსიკამ აგობაო. არა! მუსიკა+სპორტი, გვისნილა მათი ნანა ხელმძღვანელი.

ნანა ციცაზობილი.

## გივაზი ტეატრი დაიკარგნენ

ნიკო ხელმძღვანელი ქიმიკისა, კერამიკის სპეციალისტი. კარგად იცნობს მთის მინერალებს. მიტომ სულ შემოგვატარა ტაშისკარისა და ქვიშების მიდამოები, სადაც თურქები ბლომად შეხვდებით კვარცს.

კირქვას, პერლიტს, ტეშიტს, ბაზალტს, ანდეზიტსა და სხვა სახის მინერალებს. როცა ხელმძღვანელმა გვითხრა, ხვალ მინერალების საძებნელად მოებში მივდივართო, მოელდამებს არ გვიძინია. მეორე დღეს სოფელ სათვეში გავედით. მის ზედა მხარეს მდებარე ქედის შესწავლა დავიწყეთ. სამი საათის ძებნის შემდეგ ჩამოვიტანეთ სხვადასხვა სახის მინერალები, რომელთაგან საუკეთესოსაში შევარჩიეთ. ამ დღეს თბილისელი პიონერი გოდერი რაზმა-ძე და წულუკიძელი გამბულ ბაილოშვილი ტყეში დაგვეკარგნენ, ტყეტყე შეკოლონენ მინერალების ძებნას და გზა არეოდათ... დიდხას ველოდეთ. ბოლოს ბიჭებმა ხმა მოგვაწვდიხეს და ჩვენც ყიყინით შევხვდით.

ნიკო ხელმძღვანელს ისინი არ დაუტუშესავს (ჩვენ კი როგორ გვეშინოდა, არ გაჯავრდეს). მხოლოდ ეს უთხრა: რა მოხდა, ცხოვრებაში შეიძლება ასეთი რამეც შეგვმთხვეთ, მაგრამ არ უნდა შეგვინდეთ, გზის გავნება არ უნდა გაგიჭირდეთ, ყველაფერს დაკვირვებით უნდა დახსომებაო.

ზურაბ ჩიხლაძე.

## კაგვაზი გოგონებება შევარჩე

ერთ დღეს ბანაჟში კონკურსი გამოხადდა. იგი გოგონებს ეკუთხნდათ. ხელმარჯვეთა კონკურსში ყველა მოხაწილეობდა. ნინო ვაჩერიშვილმა და ცირა მეტივიშვილმა ისეთი ლამაზი კაბები შეკერდეს, მე-2 რაზმის ხელმძღვანელმა ისინი პიონერთა ოთახში რაზმის კუთხეში გამოფინია.

ამბობდნენ, ცირა და ნინო თოჯინების კი არა, საკუთარ კაბებსაც თვითონ იკერავენ; გულახლილად გეტივით, ეს საქმე ბანაჟში ყვილა გოგონას როდი ემარჯვებოდა... .

ნანა ციცაზობილი.

## ორი პიცანინა ძლიერ დაგიჭირეთ

რაზმის სამუშაო გემაში თევზაბა შევიტანეთ. ნიკო ხელმძღვანელის ძმა თურმე ხაშურში ცნობილი მეთევზეა. ანკესები გამოგვიგზავნა და 19 ივნისს მთელი მეორე რაზმი მტკვრის სანაპიროზე სათევზაოდ შერჩეულ ადგილზე ჩამოეხდით. 2 საათი ველოდეთ მომინებით ანკესებზე თევზის წამოვებას. ის იყო ვანიკოსა და გამბულის ანკესები შეირჩენ, რომ მაშინვე იქ განაზღავნდით მათ ანკესებს ორი ჭიჭკინა წამოეგო.



აზპლოვაკა

9

საქათავარი

1976

საქათავაროს ალექ გ. და 3. ი. ლავინის  
სახლობაზე მოგონილი მოგონილი მოგონილი

კავკავარი სახავვით ერთად

გამოდის 1926 წლიდან

საქ. კა გ. ის გამოხვალვა

კველა კმაყოფილი დაცრჩით. გველანა და ნაფოტა, რომლებიც მხოლოდ სალოები თითისოდენა იზრდებიან, დიდი ზემით მოვიყვანეთ ბანაში.

ზურაბ ჩიხლაძე.

### აღაში „ხევლ ნაძვებ“

ბანაკის გახსნის მეორე დღე არ მავიწყდება. ჩემს რაზმს ქვიშეთის მოსაზღვრე სურამის ქედის უმაღლეს მწვერვალზე, სადაც „ხელი ნაძვი“ დგას, ალმის ალმართვა დავვალა.

შეორე დილით, 5 საათზე, მოებისაკენ დავიძარით.

მთაში სიარული არც ისე ადვილი ყოფილა, კველა დავიღალეთ, ხმას კი არც ერთი არ ვიღებდით. როცა გზა აგვებდა, გამოსავალი ვიპოვეთ, რამდენიმე პიონერი ხეზე აძვრა და მიდამო იქიდან დაზვერა.

ფრქვისა და ნაძვის სურნელებამ, ჩიტების ჭიქვიერა, ტყის საამურმა შრიალმა დაღლა დაგვავიწყა, წინ მივიწევდით. დავალების შესრულება, პიონერულ ხაზზე უფროსი პიონერხელმძღვანელისთვის, დროზე უნდა გვეპატაკა.

„ხელ ნაძვზე“ ალამი აღვმართეთ. იყო ბანაკიდან მოჩანდა. ახლაც სიამაყით ვიხსნებ იმ წუთებს, როცა ხეზე ჩვენი ალამი აფრიალდა. შემდეგ სწრაფად დავეშვით, ხაზს მიკუსწარით, რაზმეულის საბჭოს დავალების პირნათლად შესრულება უპატაკეთ.

### ჩვენ „უცროსები“ ვიზავით.

...ერთ სალამოს, ვახშის შემდგე პიონერხელმძღვანელმა რაზმეულის საბჭოს წევრები პიონერთა ოთახში შეგვერიძა, გამოვგიცხადა, რომ ხეალინდელი დღე პიონერებს გვეცუვნოდა. მთელი ბანაკი ჩვენს იმედზე იყო. დიდი პასუხისმგებლობა გვეკისრებოდა.

ავირჩიეთ ბანაკის ხელმძღვანელობა. მე უფროსი პიონერხელმძღვანელის მოვალეობა მომანდეს, ბანაკის უფროსი ოთარ ნიკოლავა გია მარგანიძემ შეცვალა, ფიზიულტურის მასწავალებლად არჩილ ბერიაშვილი ავირჩიეთ, რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე ლალი გერმანიზაშვილი ამ დღეს ჩვენი გქიმი იყო. კველა რაზმის პიონერები ასრუ-

ლებდნენ რაზმის ხელმძღვანელისა და პედაგოგის მოვალეობას, სასადილოსა და სამზარეულოშიც ისინი იყვნენ.

მთელ ღამეს ვერ დავიძინე. თითქოს სულ საყვირის ხმა ჩამესმოდა... როგორც იყო, გათენდა.

დილის საყვირზე სწრაფად წამოვიშალეთ. არჩილ ბერიაშვილმა გვაკარგიშა. მე, როგორც უფროს პიონერხელმძღვანელს, მთელი რაზმის მსვლელობა მევალებოდა, ხელმძღვანელის როლი პირველად უნდა შემესრულებინა. ჩვენ გუშინდელ პედაგოგებს დღეს წითელი ყელასხვები და თეთრი ბაბთებიც ეკეთათ თმაში, ძალზე მოგვეწონა, თანაც დიდ პასუხისმგებლობას ვგრძნობდთ.

საყვირის ხმაზე მთელი „რაზმეული“ ხაზზე გამშკრივდა. წარმოიდგინეთ, ხაზზე, ბანაკის რაზმეულის საბჭო და მისი თავმჯდომარე (გუშინდელი უფროსი პიონერხელმძღვანელი) იგვიანებდნენ. ხაზის დაწყება რამდენიმე წუთით გადაიდა. დავვიახებულებს კველას თვალწინ შენიშვნა მივეცით.

პატაკების ჩაბარება სანიმუშო იყო, რადგან იმ დღეს რაზმის საბჭოს თავმჯდომარეების მოვალეობას რაზმის ხელმძღვანელები ასრულებდნენ.

... გამოვაცხადე დღის რეაქტი, ის-იც განვმარტე, რომ 17 ივლისი ბანაკში პიონერების დღედ იყო გამოცხადებული. ყველას აინტერესებდა, უფროსების დაუხმარებლად როგორ გაცულვებოდით ბანაკის ერთი დღის ცხოვრებას.

... რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარეს (ჩვენი ბანაკის უფროს პიონერხელმძღვანელს) ხაზზე დაგვიანებისათვის საყვედური გამოვცხადეთ.

გულში ვნატრობდი, ნეტა ნიკო ხელმძღვანელმა პატაკი ვერ ჩაბაროს-მეოქი, მაგრამ ნატვრა არ ამიხდა, აღმის ალსამართავად ყველაშე ერთხმად უფლება მეორე რაზმის საუკეთესო „პატარა“ პიონერებს ნიკო ხელმძღვანელსა და გივი მასწავლებელს მივანიშეთ.

ის დღე სწორედ მშობელთა დღე იყო, მათ შეიღის სასეირნოდ წაყვანის უფლება ჩვენგან უნდა მიეღოთ. მათ ეს ძალზე უკვირდათ, მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდათ, ჩვენს განკარგულებას ემორჩილებოდნენ. სალამის კონკურსი „აბა, გოგონები!“ გამართო. გული მწყდებოდა, რომ ხვალ ჩვეულებრივი დღე თენცებოდა და ამდენი დამიუკიდებლობა არ მექნებოდა.

ნანა ციცაცრისალი.



\* უკალათგუროთოდ განაპი ვის ზარმოულდებია,

... მათი ქვიშეთური ჩანაწერები აქ როდი წყდება... ნანა და ზურაბი დაპირდნენ, სხვა ეპიზოდებსაც გავიხსენებთო და გაისად, ბანაკის 50 წლისთავისაღმი შიძლვნილ ზემზე გამოვგზაუნით. ბანაკში დამსვენებელ პიონერთა ჩანაწერები გააცილებენ წლებს. დღეებს, სათებს. წუთებს... რომელიც თითოეულს ბუნებით შემცულ ქვიშეთის მიღა-მოებში გაუტარებია.

ცოტა ვ გორისენოსი.



\* არასოდეს დააპირდებით გულების ზიაღური გათარიაზლი დღევაზი.



# აი, ია

რატომ არ შეიძლება, წიგნი ყვა-  
ვილს შევადაროთ? შედარება ხომ  
ერთდროულად რაღაც შორეულსაც  
გულისხმობს და მახლობელსაც...  
მოდით, ეს წიგნიც — იაკობ გოგე-  
ბაშვილის „დედა ენა“ — ყვავილს  
შევადაროთ. აბა გადავალოთ თვა-  
ლი ნაირფერად მოჩითულ ველს —  
ლილოს და შროშანს, ბაის და  
კესანეს...

არ, არ გამოდგება! შედარება  
შორეული კი იქნება. მაგრამ მახლო-  
ბელი არა.

მაგრამ აბა წარმოვიდგინოთ, დიდი  
ზამთრის მერე თოვლი რომ დნობას  
იწყებს და გაზაფხული მოაწევს, გა-  
ზაფხულის მახარობლად კი ბუჩქის  
ძირებს მოეფინება ლურჯთვალა ია.  
მოვა ია და იწყება ბუნების ზეიმი,

ბუნების გამოღიძება. ეს პატარა,  
ნაზი ყვავილი მთელ ყვავილებს წინ  
მოუძლვის. მერე და მერე მოდიან  
სხვები — უფრო მაღლებიც, უფ-  
რო ძლიერნიც, უფრო თავმომწონე-  
ნიც, მაგრამ ის მაინც ვერავინ ჯა-  
ნის, ის ვერავინ ეტოლება, სხვა  
ყვავილი ია ვერ იქნება.

კიორგი ლეონიძე — ჩვენი დიდი  
პოეტი და დიდი მცოდნე ხალხის  
ადათისა, და არა მარტო ადათისა.  
ხალხური ენისაც, იაზე გაღმოგვ-  
ცემს: ია, დედის ჩაწეოთებულ ცრუძ-  
ლზე მოდის, ას იტყოდნენ ჩემს  
ყრმობაში. ჩემი სოფლის ტყისპი-  
რებში ყოველ გაზაფხულზე ია ბღუ-  
ჭეულად ამოდიოდა და არემარე-  
ლურჯად გადაიბურებოდა ხოლმერ.  
მეგონა მთელი ქვეყნის დედებს აქ

ეტირნათ. იმდენი ია ამოსულიყო ჩე-  
მი სოფლის მშვენიერ მიღამოებში. ის  
სიყვარული დედა შთამაგონა,  
იასავით სპეტაკი ადამიანი იყოო...  
ია დედის სახელთანაც ყოფილა  
ღავავშირებული!

ია დედის ჩაწეოთებულ ცრემლებ-  
ზე ამოსულა!

და რაკი ვთქვით, რატომაც არა,  
რატომ არ უნდა შევადაროთ წიგნი  
ყვავილს, „დედა ენის“ შედარება  
სწორედ იასთან შეიძლება. „დედა  
ენა“ უპირველესია მთელს წიგნთა  
ყვავილებში „დედა ენა“ ბუნების  
გამოღიძების მახარობელია, „დედა  
ენა“ იასავით სპეტაკია, „დედა ენა“  
სწორედ იით იწყება.

„აი, აი!“ ეს არის თავდაპირველი  
სიტყვა ყველა ქართველისა, რომე-  
ლიც პირველად გადაშლის წიგნს,  
რათა მაღლიან, ტკბილქართულ ენას  
ეზიაროს, ულამაზესი, დანვეწილი  
ქართული ანბანი გაიცნოს. მერე კი  
მთის კამკამა წყაროსავით წამოვა  
წყურვილი ცოდნისა, გაჰყვება ნაკა-  
ლულს, შეერთვება მღინარეებს, გავა  
ენის დიდ ზღვაში, სიბრძნის დაულე-  
ველ ზღვაში...

ჩვენი „დედა ენა“ იით იწყება!  
ეს არის იაკობ გოგებაშვილის ნი-  
ჭის გამობრწყინება...

ეს შემოქმედის იობლიანი მივ-  
ნება! ამგვარი შიგნების ნიჭის კი ბუ-  
ნება უხვად არ იძლევა. ნიჭი იმიტო-  
მა ნიჭი, რომ ყოველ ფეხის ნაბიჯზე  
არ გვწვდება. ამიტომ ვიხრით ქედს  
ნიჭის წინაშე, ამიტომ ვცემთ თაყ-  
ვასს, ამიტომ ვუფრთხილდებით, რო-  
გორც ბუნებისაგან ბოძებულ დიდ  
განძს.

მხოლოდ იაკობ გოგებაშვილისთა-  
ნა მამულიშვილს, ქართული ენის,  
ქართველი ხალხის ხასიათის, ჩვე-  
ულების ღრმა მცოდნეს, სპეტაკი და  
სათხო ბუნების აღამიანს შეეძლო  
შეექმნა ყმაწვილებისათვის პირგელ-  
საკითხავი წიგნი, წიგნთაწიგნი, წიგ-  
ნთადედა, „დედა ენა“.

მერედა რამდენი სიძნელე ელო-  
დებოდა წინ? რამდენი პირობა უნ-  
და გაეთვალისწინებინა, რამდენ რა-  
მეზე ფიქრში უნდა ეთია ღამეები,  
წარსულსაც გასწვდენოდა და აშ-  
ყოსაც, ყმაწვილის გამოუცდელ, სპე-  
ტაკ ბუნებაზეც ეფიქრა და მისთვის  
ადვილად ხელმისაწვდომ და გასაგებ  
თავანერა ქართულზეც. ამ ერთი პა-  
ტარა წიგნით ბავშვის გულსა და გო-  
ნებაში პირველი ხნული უნდა გაევ-  
ლო, პირველი ასოები გამოყვა-  
ნა, საფუძველი ჩაეყარა მომა-  
ვალი მამულიშვილის, პატრიოტის,

მოქალაქის, ქვეყნის შემახავისა და  
მარჩენალის სულიერი სამყაროსა-  
თვის. ამ წიგნით უნდა დაწ-  
ყებულიყო ყველაფერი, ეს იყო თა-  
ვიდათავი, ეს იყო დედაენა.

პირველიდ ამ წიგნს უნდა ესწავ-  
ლებინა ყრმათათვის სამშობლოს  
სიყვარული, მშობლიური ენის სიყ-  
ვარული, მეგობრობა და ამხანაგო-  
ბა, თავდადება, პატიოსნება, სხვა  
ერთი შვილებისადმი პატივისცემა;  
ეს წიგნი უნდა გამხდარიყო დასაბა-  
ზ სხვა მრავალი წიგნის სიყვარუ-  
ლისა; ამ წიგნს უნდა გაეწათებინა  
ყმაშვილის გონება და აღენოთ ცე-  
ცხლი სწავლის ჟყურვილისა, მსოფ-  
ლობ მწერლობის დიდი და ბრძნუ-  
ლი წიგნების გადაშლისა. ამ წიგნს  
უნდა გაეხადა ყრმათათვის გამაგები  
და ხელმისაწვდომი ქართული სიტყ-  
კა ამზული მწერლობა, — ზოგი ქა-  
რთული ლიტერატურის მრავალსაუ-  
კუნთვანი ისტორიიდან, ზოგიც ხალ-  
ხურ მარგალიტებად გაბნეული. ყო-  
ველივე ამას კი მოკრება, შერჩევა  
დამუშვება, საყმაშვილოდ გადაეკე-  
თება ჭირდებოდა, რათა წიგნი მარ-  
თლა წიგნი ყოფილიყო — გზის გამ-  
ნათებელი, გამრჯევ ჭკუა-გონების  
სავარგიშო და ამავე ზროს საამო სა-  
კითხავი, მიმზიდველი, ნამდვილი მე-  
გობარივით უბრალო, თავისუფალი  
რა შინაარსიანი.

თავად ავტორიც ხომ ამას ამბობს  
წიგნის პირველი გამოცემის წინასი-  
ტყვაობაში, ვცდილობდი ისეთი წი-  
გნი შექმნას, რომ რაც კი შეიძლე-  
ბოდა მიმზიდველი ძალა ჰქონდა, და  
სავსე ყოფილოყო შინაარსითა, ურ-  
თა სიტყვით, სასიამონო სასარგებ-  
ლოსთან შეგვერთებინათ. იქვე ავ-  
ტორი იმასაც დასძენს მოკრძალები-  
თა და მორიდებით, ამგვარი წიგნის  
შედეგა ერთობ უძნელესი საქმეა,  
მაშინაც კი, როდესაც ხალხური ლი-  
ტერატურა მზამზარეულ მასალას  
გაწვდის. და წარმოიდგინეთ მომე-  
ტებული სინერელი იქ, სადაც ამგვა-  
რი მასალის მზამზადებით თავი არა-  
ვის შეუწუხებია და ავტორს ისლა  
დარჩენია, არაფრისაგან შექმნას  
წიგნიო.

იაკობ გოგებაშვილი თავმდაბალი  
ქართველი:

არც წუწუნი უყვარდა.

არც საკუთარი დამსახურების შა-  
რმოჩინება...

ზემოთქმულით მარტი ის სიძნე-  
ლე გაუმნილა იმდროინდელ მკითხ-  
ველ საზოგადოებას, რაც მართლ-  
შეწყდა ამ წიგნის შექმნისას —

ქართული საყმაწვილო ღიტერატუ-  
რა ხომ გაშინ ახლად იღვამდა ფეხს,  
თითქმის არაფერი იყო შეკრძბილი  
და გამოცემული... და იაკობ გოგა-  
ბაშვილსაც ყველაფრის თავიდან და-  
წყება, საუთარი ხელით გაკეთება  
მოუხდა.

იით დავიწყეთ, იით იწყება „დედა ენა...“ იას ხე მოსდევს, მერე — თო-  
ხი, სოკო, ვაზი, კონა, მამალი, პე-  
პელა, მტევანი, კუჭაჭი და კიდევ  
ვინ არა და რა არა! სულ თვალმარ-  
გალიტები ქართული სიტყვისა. „დე-  
და ენის“ თავიდათავი დანიშნულე-  
ბაც ხომ ეს არის, — შეგვივანოს  
შობლიური ენის ვრცელ, თვალუწი-  
ვდენელ სამყაროში, გვაზიაროს მის  
სიკეთესა და სილამაზეს, გვაგრძნო-  
ბინოს გამოშასკელობა, ხატოვნება  
და ხმოვანება ენისა.

ეს შეიგნი გვაძლევლის, როგორ  
კუსმინოთ ბუნების ხმას, როგორ გა-  
კიგოთ ბუნების ენა. ჩვენს წინ გა-  
ივლის შელიწადის მთელი ოთხი  
დრო, ბუნების შრავალფეროვანი  
მოვლენებით. და იმ პატარა ნიკოსა-  
ვით — „ოთხი სურვილის“ გმირი-  
ვით — ყველა დროს გულდაწყვეტი-  
ლი სიხარულით ვემშვიდობებით....  
ი, ზამთარი: ხები გატიტვლებულა  
და გაყინულ ტოტებზეც თოვლის  
ლოლუების მეტი არა ჰკიდია რა. და  
ნიკოს ძალზე ეცოდება ფრინველე-  
ბი. მე რამ შემძლოს, სახლს გავუ-  
კეთებდი ყველა ფრინველსო. აი, გა-  
ზაფხულიც: მნილორზე მწვანე ბალა-  
ხი ამიერიუნდა, ტყე ფოთლებით შე-  
იმისა. ყვავილები გაიშალა, გლეხ-


კაცი ურეს ძართავს, ხნავს, ფარცხავს, თესავს... მერე მოდის ზაფხული: ჯეჭილები ზაფხულმა თავთავიან ყანებად გადააქცია. ყანა განმა დაელის ხამგალს. მინდონში გამრავლდა ფრინველი, ეს იმიტომ, რომ ფრინველებმა ბარტყები გამოჩეუეს და კიდევაც დააფრინეს. მაგრამ ზოგი კი დარჩა უშვილოდ: პატარა ბიჭებმა კვერცხები ამოაცალეს, ბარტყები ამოსხეს ბუღლიდან. რომლებმაც დააფრინეს ბარტყები, ისინი კი დიდ სიხარულში არიან. შეილება ფრენას ასწავლიან... ზაფხულს მოსდევს შემოუვომა: ბუნება თოთქოლონდება. გაზაფხულზე მოსული თრინველები თავს გვანებებენ და სამხრე თისაეკ მიფრინავენ. ალა! ისმის მერცხლის ჭიკვიკი, მიფრინავენ წეროების გუნდებიც. ვენახებში ყურძენი დამწიფდა. გლეხი კაცი ემზადება რთვლისათვის. ღიღი სიხარულია ყმაზვილები აკიდოებს სკრიან. დასე მიღის მთელი წელი, ასე ცოცხა

ଅଧ୍ୟାତ୍ମିକ ପରିଚୟ

შიგნისა!

აბა მის გონებას უხდა მისტვდეთ!...  
აბა მის მსუბუქ იუმორს უნდა  
ჩაუხვდეთ!

ରହୁଗାନ ଏଣ ଗ୍ରାମୀନମେଦାତ ମି ଶୁ-  
ଲ୍ଲୁଧର୍ଯ୍ୟବିଲ୍ଲ, ମାଗରାମ କ୍ଷେତ୍ରିଲ ନୁହୁ-  
ର୍ଥେ, ଡିଲିସ ଅଭିତ ରହମ ଡାଇକାଳୁ,  
ହୀମ୍ ଫେରନ୍ତଲିଗ୍ନିଶ ପୃତୁଳିର କିନ୍ତୁଜା



ՀԵՂՈՎԻ ԳՐԱԿԱՆՈՒԹՅՈՒՆ ԽՈՎՈՅԵՎԱՅՐՈ ԴՐԱՄՆ



କେତେ ପ୍ରଦେଶ ମନ୍ଦିରଗୁଡ଼ା, ବ୍ୟାପକିକା  
ଜୀବି ଯୁଗର ଦେଖିବା

詩の音節音節

უნდა ვასწავლოთ, გადუშალა წიგნი  
და ეუზნებოდა: ეს არის ანი, ეს არის  
ბანი, ისწავლეთ გენაციათ; ა  
მ ზარბაც ვანოზე, სკოლაში წასვლა  
რომ ეზარებოდა და მოიმიზება, ვი  
ხები საშინლად მტკიცაო, მერე რომ  
უთხრეს, „ვანო, მოლი ერთი ლეკც  
რი დუარეო“ და „აბა, ერთი კარგი  
ტაში დამიკარითო“... ან იგივე ვანო  
ზე, ახდილ ქვევრის პირთან რომ იდ  
გა და ილანძლებოდა. ქვევრი კი ცა-  
რიელი იყო და, ცხადია, კველა ლან-  
ძევა უკანვე უბრუნდებოდა. მერე  
ვანომ დედას შესჩერება, ამ წყელმა

ქვევრმა ლანდღვით ამიქლოო. დედაშ კი უპასუხა, შენი თავი შენვე გა- გილანდრას, რაც ჩაგიძახნია, ქვევრს იგვე ამოუძახნიათ.

დააკირდით ამ იგავთა უბრალო- ებას, ზომიერ იუმორს, ზომიერ დი- დაქტიკას. აქ ყველაფერი — დარი- გებაც, შეგონებაც, ჭეუის სწავლე- ბაც — რა მართლად, გასაგებად და შთმაგონებლადაც მოწოდებული. თვითონ გოგებაშვილის სურვილისა არ იყოს, ყველაფერი მართლაც სა- სიამონვნოცაა და სასარგებლოც.

ერთხელ პატარა ვანომ ჩიტი და- იქირა და ხეზე თავდაღმა ჩამოჰყიდა. საწყალი ჩიტი ძლიერ იტანჯებოდა, აგრამ ვანოს არ ებრალებოდა. კე- კეშ დაიხახა, ჩამოხსნა ჩიტი და გა- უშვა, ვანომ ღრიალი მორთო, მაგ- რამ არავინ შეიბრალა. ბორიტი გუ- ლი ჭენია ვანოსა თუ კეთილი? — გვეკითხება „დედა ენა“ და იქვე თითქოს გვესმის უივილ-ხივილი ურიცხვი ბავშვისა, მრავალი თაობი- სა, რომელთაც ამ წიგნის გამოსვლი- დან ღლემდე გამოუკლიათ. და ეს შრავალებანი ქორო ერთხმად გმობს ბორიტებას და განადიდებს სიკეთეს.

ქოთნები ერთად შეგროვილიყვ- ნენ. ერთი უფრო მაღალი ქოთანი შუაში ჩამდგარიყო და იკვენოდა: მე თქვენისთანა როდი ვარ, მე ოქროს ძირი მაკვსო. უცებ თავს წაადგა ცი- ცხვი. მკვეხარა ქოთანს შერცხვა და ხმა გაკმიდა... და იგივე მრავალები- ანი ქორო მთელი თაობებისა ერთხ- მად დასკინის მკვეხარობას. და მე- რეც, ცხოვრებაში, ვისაც ამ ზენეს შე- ამჩნევენ, „მკვეხარა ქოთანს“ ეძა- ხიან.

და ასე მიკვებით ხალხური სიბრ- ძნით, ხალხური სისადაგითა და უ- ბრალოებით, ხალხური მახვილი იუ- მორით აღსავს პატარ-პატარა არა- კებს, სურათებს, შეგონებებს. მიკ- ვებით და თითქოს ჩვენს თვალწინ იზრდება პატარა ქართველი ყრმა. ჩვენ თვალწინ სწავლობს ბორიტი- საგან სიკეთის გამორჩევას, კეთი- ლის უთუო გამარჯვებას, კარგ დედა- შვილობას, მშრომელი სახნისის სი- ლამაზეს და მუქთახორა სახნისის უხევრობას, და რას აღარ... ცხოვრე- ბის რაგვარ სიბრძნეში აღარ ახ- დებს აეტორი თავის ნორჩ მკით- ველს...

ამ ზოგა იგავებილან მეტის აქ გა- სენება შეუძლებელია. მეტი რომ გავიხსენოთ, მაშინ მთელი წიგნი უნდა გადმოვწეროთ. მთელი წიგნი ხომ სწორედ ამგარი, მოხდენილი, ლამაზი, ჭევიანური იგავებითაა ას- მული და აკინძული.

ამ მართლაცდა ზღვა შეგონება- თაგან, ზოგი ხალხურია, ხალხში გა-

გონილი და ჩაწერილი, ზოგი — სხვა ხალხთაგან ნასესხები, ყველა მათგა- ნი კი გოგებაშვილის ნიჭით მაღლ- ცხებული, ყმაწვილთა აღზრდისათ- ვის გაჩალხული, დიდი პედაგოგის კეთილ ნებას დამორჩილებული.

რაკი ხალხურზე მიღდა საქმე, მო- დით, ისიც გავიხსენოთ, რა დროს შეიქმნა „დედა ენა“, რა დროს მი- იღო იგი ქართველმა ხალხმა. ეს იყო 1876 წელი, როცა სკოლები ქა- ლაქებშიც კი თითხე ჩამოსათვლელი იყო, რომ აღარაფერი ვთქვათ სო- ფელზე. ხალხს განათლების საშუა- ლება არა ჭენდა, წერა-კითხვის უბ- რალო მცოდნეც კი მეტად გამოჩე- ნილ და გამოსადეგ კაცად ითვლებო- და. ასეთ დროს იაკობ გოგებაშვილს

წიგნს დიდისა და პატარისათვის, უბ- რალო თუ ლიტერატურაში კარგად გაწვრთნილი შეკითხველისათვის ერთ- ნაირად დიდებულ წიგნად, წიგნთა- წიგნად, ყველა წიგნის „დედა ენა“. ამიტომ იყო, რომ „დედა ენა“ გამოსვლის- თანავე მთელი ერის კუთხილება გახდა. უამთა სვლამ, დროთა ცვალე- ბადიბამ ამ წიგნს თუ რამ მიუმატა, თორებ ვერაფერი დაკლო. ჭერ მა- შინდელზე გეტყვით: მთა ხომ ყვე- ლაზე უფრო მიყრუებულ კუთხედ ითვლებოდა, მთაშიც კი, გერონტი ქიქძის თქმით, მეთვალყურებები და შევლევარები ადასტურებდნენ, რომ ფშველი მწყემსები ერთიმეორეს ასწავლიდნენ წერა-კითხვას და ყვე- ლაზე ბეღნიერი მათ შორის ის იყო. რომელსაც გუდაში „დედა ენა“ და „ბუნების კარი“ ედოო. თუ ეს ასე არ ყოფილყო, ეს პატარა ტომი ვერ შექმნიდა ისეთ მდიდარ სახალხო პოეზის, როგორიც შექმნა, და ვერ წარმოშობდა ისეთ დიდ მწერალს. როგორიც ვაჟა-ფშველა იყოო.

მწყემსი, თავისი განუყრელი გუ- დით და სალამურით, გუდაში კი „დედა ენითა“ და „ბუნების კა- რით...“ ეს არის ერთი მეტად და- მახასიათებელი და გავრცელებული სურაბი მაშინდელი საქართველოსი.

დღეს „დედა ენაში“ ჩვენ გვხიბ- ლავს ამ წიგნის შეუცვლელი. ბრძნული უბრალოება, მარად გაუხუ- ნარი ფერი და ელვარება. ეს წიგნი თვითონ საქართველოს ბუნების ჰეგვას, თითქოს ბუნებასავით ინახვს მარადიულ სიცოცხლეს, ფერთა და ხმათა განახლებისაკენ დაუოკებელ სწრაფვას.

ამ წიგნში ყმაწვილი პირველად ხვდება ცხოვრებას — ერთ დიდ სამყაროდ აკინძულსა და თავმოყ- რილს. ამ ცხოვრებაში იგი და- ინახავს სიკეთესაც და სიავესაც, აუგსაც და ნათელსაც, ზარმაცაც და გამრეჯესაც. იაკობ გოგებაშვილი არ ერიდება ცხოვრების მთელი მრა- ვალმებრივობით, შუქ-ჩრდილებით წარმოდგენს. იგი ბავშვის გონებას თავიდანვე წვრთნის ბორიტების წი- ნააღმდეგ ბრძოლის სულისკვეთე- ბით. მას თავისი ჭეშმარიტი მკითხ- ველი სწორედ გულად, შეუპოვარ, მაგრამ სიკეთით აღსავს ყრმად წარ- მოუდგენია. ეწაფება ეს ყრმა „დედა ენის“ დიდ სიბრძნეს, და თუ ყვე- ლა სიკეთე ამ წიგნისა ღრმა კვალს გავლებს ყრმის გულსა და გონება-



ში, ეს სიკეთე მთელი ცხოვრების გზაზე გაჟევება. ამ წიგნის სიბრძნე მთელი ცხოვრების საგზალია.

„დედა ენა!“ წიგნთაშიგნი ვუწოდეთ. მით უფრო წიგნთაშიგნად წარმოგვიდგება იგი დღეს, როცა თქვენს წინაშე მართლაც მთელი სამყარო წიგნებისა. ცველაფერი, რაც კი საკაცობრიო მწერლობას შეუქმნია, დღეს ხელმისაწვდომია თქვენთვის. ოღონდ იყითხეთ, ოღონდ ცოდნის წყურვილი მოიკალით. მაგრამ ეს წყურვილი მაინც ისევ ჩვენი წიგნთადედიდან, წიგნთაშიგნიდან იწყება. იმ დიდ სამყაროში სწორედ „დედა ენიდან“ უნდა მივიდეთ. ის სამყარო გველოდება, ის მომხიბლავი, პოეტური და ამალებული სამყარო. ის საოცარი ელვარება ადამიანური ნიჭისა, საოცარი შუქი საკაცობრიო გონებისა!

„დედა ენა!“ ამ დიდი სამყაროს კას გვიღებს...

„დედა ენიდან!“ იწყება მამულის სიყვარული.

„დედა ენა!“ სათავე მშობლიური ენის სიყვარულისაც.

„დედა ენით“ იღვიძებს სიტყვის იღუმალ ძალაში წვდომის სურვილი

ამგვარი „დედა ენა!“ ასი წლის წინა შექმნა დიღმა ქართველმა მამულიშვილმა და მწერალმა იაკობ გოგებაშვილმა. მაშინ თქვენი ტოლები მას ისევე უბრალოდ ეძახდნენ „ძია იაკობს“, როგორი უბრალოც ყოფილა თვითონ. იაკობ გოგებაშვილის მომსწრენი ამბობენ, რომ ის იყო საოცრად ნათელი და სპეტაკული. დიახ, სხვაგვარი კაცი ვერ შექმნიდა ამ ნათელ და სპეტაკ წიგნს.

ყოველთვის, როცა წიგნს გადაშლით, ვისიც არ უნდა იყოს ის წიგნი, პატივი ეცით მის სისპეტაკეს, სიკეთეს და სინათლეს. სხვა მრავალთა შორის ამასაც გვასწავლის „დედა ენა“.

ჩვენ? — ვინც დიდი ხანია დავშორდით სკოლის მერხს?

ჩვენ „დედა ენა“ მოვიგონოთ ტყბილი და სევდიანი მოგონებით. როგორც იგონებენ ხოლმე სიყვარულეს, ყრმობის ნათელ დღეებს. ხსოვნაში სამუდამოდ ჩარჩენილ უბრალო და კეთილ სტრიქონებს: „მზეო, ამოდი, ამოდი, ნუ ეფარები კორმა...“

თამაზ ბიბილური.



## „დ ე დ ე ა ნ ა მ“ ჩ ა კ ე მ ა

როდიონ ქრისტიანი

მხატვარი რ. ცხცილიძე.

საღამოს ბინდში ორი ქალი დგას ჭიმჭართან. შეთქმულებივით ჩუმად საუბრობენ. სამეგრელოში სოფლის ქალებს ჭიმჭართან უყვართ შეხვედრა და საუბარი.

— არ ვიცი, რას უწუნებ კოწიას, ჩემ დესპიზე! — უთხრა ერთმა მეორეს. — რა აქვს დასაწუნი?

— დასაწუნი რა აქვს, ჩემო ესმა და არაფერი, — უპასუხა დასპინები.

— აბა რატომ უარობ, შე ქალო? მე სიკეთე მინდა შენთვის, ბოლოს და ბოლოს ნათესავები ვართ, — წყენა დაუტყო ესმას. — ხუთი წელია დედის ამარა ცხოვრობს... ვერ ხედავ, ამ მცირე ხანში რა გააეთა?

— მაინც რა?

— რა და, ეზო გაიშენა. ოდა ყავრით დახურა. სკა დაიყენა.

— ეხლა კიდევ იტყვი, ცხენი ჰყავსო, ხარი ჰყავსო, ძროხა ჰყავსო. ეზოში მამალი უყიფის და ძაღლი უყიფის. ძევლი ოჯახი მიიღო, ჩემო დაია, და მამის დანასორზე დგას.

— შენცა სთქვი, რაღა! რაც მამისაა, ის შვილის არა?.. გარდა ცველაფრისა, კარგი მეოჯახე დედა ჰყავს.

— მე დედამისს კი არ გავყვები! მე

ჩემს გულს გავყვები, — მოუჭრა დესპინებმ, — ისე კი, რაღაც აკლია შაგ შენ კოწიას. მაგალითად, რომ შევიკრიბებით ხოლმე ღამისთვევაზე ან კათუაზე<sup>1</sup> და ჩინგურზე ვაძლევრებთ, ან გამოცანებში ვეჯიბრებით, ან მაკა-მაკაში<sup>2</sup> ვიწვევთ ერთმანეთს. შენს კოწიას არც ერთხელ არ გამოუჩენია თავი. არც ერთხელ არ მიუღია სამოთხის გასაღები.

— შენცა სთქვი, რაღა? სამოთხის გასაღები რა შეაშია?

— რა შეაშია და... — დესპინებმ ხმას აუწია. — იმ შეაშია, რომ მუნჯივით კაცია. სიტყვა აკლია. საქმე მარტო თოხის მოქნევა კი არაა, ანდა ცხენის ილეთები. ხელისმოწერაც არ იცის. ჩემს სახლში, შენც იცი, მთელი კარადა საგსეა წიგნებით. პოდა, ჩემ სახლში ისეთი კაცი შემოვა, სიძედ „დედა ენა!“ რომ არ უნახავს? და ისიც ახალი თაობის<sup>3</sup> შემდეგ?

— ეს ასეა, მაგრამ შენი მშობლები

<sup>1</sup> კათუა — შეკრა. შეკრება.

<sup>2</sup> მაკა-მაკა — სხარტულა.

<sup>3</sup> 1905 წლის რევოლუციის სოფელში ასე ეძახდნენ.

და ძმები რომ ადგნენ და ძალით შიგათხოვონ ისეთ კაცს, რომელიც არ გინდა? რას იზამ?

— რას ვიზამ და არ გავყვები, — მტკიცედ უპასუხა დესპინები. — ახალი თაობის შემდეგ ჩვენ, ქალებმა, თვითონ უნდა გადავწყვიტოთ ჩვენი ბედი! — ეს მართალია, — დაეთანხმა ესმა. — ახალმა თაობამ ბევრი სიკეთე დაგვიტოვა.

— პოდა, სიკეთეს გამოყენება უნდა. საოამოს ბინდი გამუქდა. ღამე უცბად შემოვიდა სოფელში და ჭიშკარს მიადგა, ორივე ქალს ნაბადივით წამოეხურა.

— აბა, ნახვამდის! — უთხრა ესმა დესპინები. — მაინც რა ვუთხრა იმ კაცს?

— უთხარი, შუამავლად ვერ გამოვდექი-თქმა!.. მაინც რას შეგპირდა საშუამავლოდ?..

— შენცა სოქვი, რაღა! — ეწყინა ესმას. — მე შენს თავს არავითარ ქირა-მარჩილზე არ გავცვლო... ისე კი, საშუამავლო შენ უნდა მომცე, იფიქრე, ჩემი დაო! ბევრი იფიქრე!..

## 2.

სძინავს სოფელს. ჩაქრა ოდა-სახლებში სინათლე. მხოლოდ ძაღლები ყეფენ ეზო-ეზო, დროდადრო. დეპინე წევს ლოგინში და ფიქრობს, ბევრს ფიქრობს. ფიქრი! სად არ წაიყვანს ადამიანს ფიქრი! ამჟამად კი ფიქრმა დესპინე ეკლესიაში მიიყვანა.

აი დესპინე და კოწია ერთმანეთის გვერდი-გვერდ დგანან ეკლესიაში, ხელი უნდა მოაწერონ ქორწიების დავთარში. დესპინემ თამამად, ლაღად მოაწერა ხელი. კოწიამ კი ჯვარი დაუსვა. გაწითლდა დესპინე. შეიქრა წარტბი მერმე... ფიქრმა კოწიას სახლში მიიყვანა დესპინე.

აი თეთრ კაბაში გამოწყობილი, თეთრი ფატადაზურული, თეთრი კელაპტარით ხელში, დესპინე დედოფალი მიადგა კარებს. გვერდით შავ, მოსირმულ ჩოხაში გამოწყობილი, შუაჩაეცილი ბოხოზით, მაღალი და ტანადი კოწია უდგას ჯვარსაწერი სანთლით ხელში. მხარს უმშევნებს დესპინეს... კარი ღია. ნეფე-დედოფალი უნდა შევიდეს კარში. ვინ შედგამს ფეხს პირველი? სალეში რწმენაა: პირველად ვინც შედგამს ფეხს, ის იპირველებს ოჯახში... ეს იცის დესპინემ და ყოყმანობს. ეს იცის კოწიამაც და ყოყმანობს... რიდი აქვს დესპინესი... და უცდის...

აქ დაიქუსა მაყრიონმა. დაიგუგუნა „კუჩა ბედნიერმა“.. და იმავ წუთს იცექა დამბაჩმა... ამ ჭექა-ქუჩილმა გამოარკვა დესპინე.

გულს ბაგა-ბუგი გაპქონდა. წამოდგა, მიიხედ-მოიხედა: სადა ვარო? შავი,



გრძელი ნაწიავები მყერდზე ჩამოუცურდა და სიხარულით ამოისუნთქა.

მადლობა ღმერთს, ზმანება ყოფილა!

და თითქოს კოწია იქ ყოფილიყო, შესძაბა:

„განა სხვა ქალი არ არის,  
რა ჩემზე მოიცალეო?“.

3.

მეორე დღეს დესპინემ ასე უთხრა ესმას:

— უზრდელობაში არ ჩამომართვას მაგ კაცა, პასუხი რომ არ გავეცი. მე მაგას ზრდილობინად ჩამოვიშორდ.

— შენცა სოქვი, რაღა! — გაეცინა ესმას. — ეგ რა ზრდილობაა, კაცს რომ უთხრა, მომწყდი თავიდან?

— არა, ეგრე არ ვეტყვი. შენ ამ შაბათ საღამოს მოიყვანე კოწია. შევიკრიბებით ჩვეულებრივ. იქნება ჩონგური, სიმღერა, მაკა-მაკა და გამოცანები. პოდა, მე ნელ-ნელა, თამაშ-თამაშ მივახვედრებ კოწიას, რომ ჩემი ცალი არაა. შენ ოღონდ ხელი შემიწყო.

— შენ იცი! შენ იცი! მე ხელს არ შეგიშლო! ბოლოს და ბოლოს მე კი არ უნდა შევყარო თქვენი გზები. თქვენ თვითონ უნდა გაუგოთ ერთმანეთს, — დაეთანხმა ესმა. — მე რომ მეტობ, მეც ასე მოვიცეოდი. აბა, შენ იცი და შენმა ჩონგურმა!

დესპინე პირველი მეჩონგურე იყო სოფელში. გარდა ჩონგურისა — უამრავი მაკა-მაკა და გამოცანა იცოდა. ღამისთვევასა თუ კათუაზე შუდამ პირველი იყო. იმ შაბათსაც ჩვეულებრივად პირველობდა. კოწია რომ მოვიდა, გაულიმა, სკამი მიართვა. დაიწყეს სიმღერა-ჩონგური, გაშიორება, მაკა-მაკა. ყველანი ცდილობდნენ თავის გამოჩენას, ერთმანეთის გახარებას. კოწიაც ჩაება საერთო ფერხულში, ოღონდ აშ-კარად ეტყობოდა, ერიდებოდა დესპინესი. ის ხომ ოღონდაში იყო გამოზრდილი და თავი მოკრძალებით ეჭირა. ყველა მოძრაობა, სიტყვა-ბასუხი გამოზომილი პენდა. კოწიას შვენოდა ფაქიზი ზრდილობა.

როცა სამოთხის გასაღებისთვის  
ბრძოლა-შეჯიბრი გაიმართა, დესპინე  
შეირად მიმართავდა კოწიას:

— აბა, ბატონ კოწია, გამოიცანი, ეს  
რა არის?

კოწია ხან გამოიცნობდა, ხან ვერა.  
დესპინემ კი სამოთხის ბევრი გასაღები  
დააგროვა.

— ქალო, ცოდვაა, რას ჩააციყდი? —  
ჩაუჩირჩულა ესმამ დესპინეს. — ბო-  
ლოს და ბოლოს, სტუმარია, პირველა-  
დაა აქ.

— შენ ეხლა ნახე, რა ვეყო: —  
თვალი ჩაუკრა დესპინემ ესმას. იქვე,  
მორიგი გამოცანის გამოცნობისას შეტ-  
ლზე ხელი მიირტყა. — ოჯ, ეს კი და-  
მავიწყდა; ამ გამოცანის ასხა „დედა-  
ქნაშა“. ბატონო კოწია, ის კარადა  
გამოაღეთ, წიგნის კარადა!

კოწიას გაუხარდა დესპინეს დავა-  
ლება. მიიჭრა კარადასთან, გააღო.

— ზემო თაროზე „დედაქნა“ დევს  
და მომიტანეთ! ეს გამოცანა მანდ წე-  
რია. ასხაც იქა...

კოწიას გააურეოლა. დევას ლობითს  
სარივით და არ იცის, რა ქნას. არ იცის,  
რომელია ამ წიგნებში „დედაქნა“.

— ესმა! დაეხმარე ბატონ კოწიას! —  
გასძახა დესპინემ ესმას. ესმა მიხვდა.  
მივიდა კარადასთან, გამოიტანა „დედა-  
ქნა“ და მისცა კოწიას.

კოწია დააკვირდა წიგნს. წიგნს ვარ-  
დისტერი ყდა ჰქონდა. ყდაზე დახატუ-  
ლი იყო ტოტი, ტოტზე იჯდა ჩიტი —  
მაფშალია და თითქოს ეუბნებოდა:

— ეს მე ვარ, ღამ-ღამობით რომ  
ვგალობ შენს ეზოში, რიონის პირას.  
გამარჯობა შენი!..

კოწია მიხვდა. ყველაფერს მიხვდა...

4

სოფლის ბიჭები მოძრავი ხალხია.  
შინ ვერ ჩერდებიან. სულ ერთმანეთთან  
დარბიან, ერთად თამაშობენ, ერთად  
ატარებენ თავისუფალ დროს.

— მაგრამ ეს ლევანი რომ ასე ხში-  
რად დადის კოწიასას, რა საქმე აქვს  
ნეტავ, — გაითიქრა ერთხელ დესპი-  
ნემ. — იქ ხომ ბავშვი არაა?

და ერთ საღამოს, ლევანი რომ კოწი-  
ასაგან ბრუნდებოდა, ჰკითხა:

— ბიჭო, რას დადიხარ ასე ხშირად  
კოწიასას, რა შენი ამხანაგია?

— ამხანაგი კი არა, მოწაფეა, —  
ამაყად უპასუხა ლევანმა.

— რას ბოდავ?

— იმპ! ბოდავ! — ეწყინა ბიჭი. —  
ვბოდავ კი არა, წერა-კითხვას ვასწავ-  
ლი! ვასწავლი კი არა, უკვე ვასწავლე..  
„დედაქნა“ მებადურის შვილამდე ვს-  
წავლე. ძან ნიშიერი კია კოწია ბიძია!  
ულვაშები რომ არ ჰქონდეს, პირველი  
მოწავე იქნებოდა ჩვენს კლასში და ერ-  
თად დავამთავრებდით სკოლას.

— მეტი შენ რა გითხრა!

— დედა არ მომიყვდეს! — დაიფი-  
ცა ბიჭმა. — წერა ისწავლა. ისე ისწავ-  
ლა, რომ... კითხვაც... გამოცანები სულ  
ზეპირად იცის... მე სამაგიეროდ წითე-  
ლი ბლუზა მიყიდა. აბაა!.. აი, ეს,  
ბლუზა. იმან მიყიდა. შეხედე!

ლევანი მიბრუნდა, მობრუნდა. წითე-  
ლი ბლუზა მართლა შვენდა.

— ამას არ დაგაჯურებო, — განაგ-  
რომ ლევანმა. — ასე მითხრა, კოწია  
ბიძიამ. ერთი საქმე უნდა მოვაგაროო  
და მერე მე ვიციო შენი პატივისცემა...  
აბაა!... არ ვიცი, რა საქმე უნდა მოაგ-  
ვაროს, მაგრამ პატივს რომ მცემს, ნამ-  
დვილია.

ლევანი ხტუნვა-ხტუნვით მოშორდა  
დესპინეს.

ლევანმა არ იცის, რა საქმე უნდა მო-  
აგვაროს კოწიამ. მაგრამ დესპინე მიბ-  
ვდა, რა საქმე იყო ის საქმე...

იმავ შემოდგომას თეთრ კაბაში გა-  
მწყობილი, თეთრი ფატადახურული,  
ჯვარსაწერი სანთლით ხელში, დესპი-  
ნე იდგა კოწიას ოდასახლის კარებთან.  
გვერდით ედგა ქამარ-ზანჯლით დამ-  
შვენებული ჩასირმულ ჩოხაში, შუაში  
ჩატეშილი ბოხობით, ამაყად თავაწეუ-  
ლი კოწია. იმასაც თეთრი კელაპტარი  
ეშირა ხელში. დესპინე იყო დედოფა-  
ლი, ხოლო კოწია — ნეფე.

შექდა დამბაჩები. გუგუნებდა „კუჩ-  
ხა ბედნიერი“ და შემოდგომის თბილი  
მზე იისუერ ციდან მხიარულად დახა-  
როდა ნეფე-დედოფალს, მაყრიონს, ახა-  
ლი ოჯახით გახარებულ სოფელს...

ოჯ, როგორ გაუხარდა დედოფალს  
როცა დარბაზში შევიდა და ხატის კუ-  
თხეში, მაგიდაზე სასოებით დაბრძანე-  
ბული „დედაქნა“ დაიხახა...

## მშობლიური „დედაქნა“

გ.ორაში კაჭაბეგი

ერის ფიქრთა სავანეში  
გამოჩენა იყო დიღის  
მშობდიური „დედაქნა“,  
სხივიანი, თბიღზე თბიღი.

დედასავით საყვარედი,  
მამულივით სათაყვანო  
ამოღულდა, ამოშუქდა  
დაუმცხადი ცოდნის წყაროდ.

ეღულება ქართულ ენას,  
სიბრძნის მამებს მიჰყვა კვაღაში.  
ძეგლად ექცა თავის შემქნედ,  
სუღის ჩამდგმერ გოგებაშვიდს.

ხმა შეუწყო ღროის სათქმედს,  
ხაღების გუღის ამოძახიდს,  
სასოებით სატარებედს,  
ბინად ექცა ყველა სახლი.

საქვეყნო და სამომავლო  
სიკეთე და სიბრძნე თესა,  
მისი ყანის თავთავები  
თავთავობენ ხაღები დღესაც.



თებერი  
მოგოლია

# ზენოდინი

ჭ. ფორჩიძე  
მხატვარი

აოთხობა

პატის დიდებას სატრაბახო გაუჩნდა. მეზობლებში შვილი-შვილით იწონებდა თავს და ამაყად ამბობდა:

— ჩვენი კაკო გიტრიკერი კურსებზე ჩარიცხეს.

გიტრაზე დაკვრის შემსწავლელი კურსები რაიონის კულტურის სახლში იყო. კაკო თავისი გიტრარით კვირაში სამჯერ სოფლიდან აგტობუსით მიდიოდა სამეცადინოდ.

მალე ტალანტების გამოსავლინებლად მოსწავლეთა რაიონული ოლიმპიადა უნდა გამართულიყო. რაიონულში გამარჯვებული ზონალურში გადაინაცვლებდა, ხოლო იქიდან თბილისში, რესპუბლიკურ ღოლიმპიადაზე ამორცყოფდა თავს. ეს კი სახელსა და დიდებას ნიშნავდა. კაკო ხიზანიშვილი ხომ ამაზე ცნებობდა, პელონ დიდებასაც ამაზე ეჭირა თვალი და სულ იმ დღეზე ფიქრობდა, როცა თავის შვილიშვილს ტელევიზორში იხილავდა.

მართალია, კაკოს აქაც ბევრი მსმენელი ჰყავდა: ჩვენი-კლასელები, მეზობლები, შინაურები, მაგრამ ათასობით ტელევიზორში გამოჩენილ ბიჭს ათასობით მაყურებელი რომ ეყოლებოდა, აი ის იქნებოდა საქმე!

ერთი სიტყვით, დიდება შვილიშვილით იწონებდა თავს. ოლიმპიადის დღე ახლოვდებოდა.

კაკო ჩემი თანკლასელი იყო. ის თუ გიტრარითა და სიმურეებით იყო გაგიქცებული, მეც მქონდა გატაცება. ცხენოსნობით ვიყავი მოხიბლული. კაკო თუ ღოლიმპიადისთვის ემზადებოდა, მე საჯირითოდ ვწვრთნიდი ჩემს შუბლვარსკვლავას, რომელსაც შუქურა ვეძახდა, ისეთი ყელმოღერებულს და მართლაც ოვალმუქურა ცხენი იყო.

მხედლობით ჩემმა გატაცებამ ამ ორი წლის წინათ შეაშფოთა ჩემინები. მამაჩემის გარდა ყველამ შემით განიცადა პირველი ჩემი გაჯირითება. ერთ დღეს ცხენმა გამიტაცა, შეა შარაგზაზე გადმომაგდო და ძვალ-რბილი ისე დამიღეწდამიუესა, ორი კვირა ლოგინს ვლესავდი. დედაჩემი სახარულით ეწია ცას, ეგონა ეს ხიფათი ჩემთვის სამაგალითო გაკვეთილი იქნებოდა და ცენტს აღარ მივეკარებოდი. მაგრამ ამამ გამოდგა მისი სიბარული. ცხენს ისევ მოვახტო, ისევ გაგამენე. ვისაც კი ერთხელ განუცდია ცხენით ჭენება, გაგიგებს, ეს რა „აგადმყოფობა“.

მაგამ შარშანწინ მიყიდა ჩემი შუქურა და მას შემდეგ მეც რაიონის ცენტრში მწვრთნელთან დავდივარ. ყველას როდი ხიბლავდა ჩემი გატაცება. ჩვენს კლასში თითქმის არავის ანტრენერებდა ეს ამბავი.

ჩემს გარდა, ამირან თედიაშვილს, ჩვენს მწვრთნელს კი-

დევ ექვსი ცხენოსანი ჰყავდა. ამირან ძია სამამულო ომის მოხაწილე იყო, კავალერისტი, მაიორის ჩინით დაბრუნდა და ახლა მსედრების წერთანა მიჰყო ხელი. ლამაზი კაცი იყო, საფეხულებთან თამაშეთერებული, მუდამ წელგამართული, რიბანი. ყოველოვის იმას ცდილობდა, ჭაბუკური, მხენე იერი ჰქონდა.

ქარაბვეტია გოგონებისა არ გამკირვებია, საღამოობით ხიზანიშვილების აივანზე რომ იყრიდენ თავს კაკოს სიმღერების მოსასმწად, მაგრამ ეს ჭივანი და სხვებისაგან გამორჩეული გოგო, თამრიკო გელაშვილი, რაღამ გადარია? აე-კარგის გამრჩევს, ნუთუ მოსწონს კაკოს გიტარის ჟღარუნი?

ჯერ არაფერია კაკო და მისი სახლის აივანი ჰქვე იძედება ხალხით. მათში თავმომწონედ ტრიალებს პელო დიდება და შვილიშვილს შეკვეთაზე აძლევს:

„აბა, ისა, კაკო!...“

„აბა, ისა, გეთაყვა! ჰო, ეგა, შენ შემოგვევლე!“

ქალი თვალში მომდგარ ცრემლს იწმენდს და გამოთიშულ ტელევიზორს მალ-მალ გახედავს, გონებით აღბათ მის აციმუმიებულ ეკრანზე თავის კაკოს ხედავს. ყოველი სიმღერის მერქ, მსმენელები ტაში რომ დასცებენ, ტანში ურუანტელსა ჰგვრის დიდება.

ხიზანიშვილები ისე ახლოს იყვნენ ჩვენთან, კველაფერს ვხედავდი, ყველაფერი მეყურებოდა.

აპრილშა გაიყვავილა. საამოდ გრძლა. კვირადღეა. ნაშეადღეს ორლობე განიარე და მთავარ გზაზე, მაღაზიასთან ამოვები, სადაც სოფლელები აგტობუსს ელოდებოდნენ. საღამოობით აქ ბლობად ხალხი გროვდებოდა, საქმიანიცა და უსაქმოც მაგრამ ახლა ნაშეადღევი იყო და მხოლოდ აგტობუსის მომღოდინენი ჩანდნენ. კაკო ხიზანიშვილი თავისი გიტარით იდგა თამრიკო გელაშვილთან და ლიანა დათუაშეილთან. კაკო კურსებზე მიდიოდა და მასთან ერთად რაღაც საქმეზე მიერგუარებული გოგოები. კაკო თამრიკოსა და ლიანას ელაპარაკებდა, თან კისერზე ლურჯი ზონრით ჩამოყიდებული გიტარა მოემარჯვებინა, დაკვრით მოცემით თითქმის სიმებს ახტოდა, მაგრამ ხმას არ აღებინებდა.

დამინახეს, მომესაღმენ. მეც მივესაღმე და მაღაზიას გავცდი. დაღმართს დავუყევი, მერე სწორზე გავიყვანე ცხე-

ნი და მინდორშე გათამაშებული გაზაფხულის ნიავის ალერსი მესიამონგა.

ირგვლივ ყველაფერი კამპამებდა. ზაფხულში რომ ალერი დაბერაქს, გადაიხრუება ბალაზი, აიღებინ ქერსა და ხორბალს, ნაწვერალს ტრაქტორები ჩაუვლიან, ასეთი პერი როდიდა აქვს გარეშე. მაშინ თითქოს გზაც ბოლაგს და მზებრი ედება ხებსა და ბუჩქებს. ახლა კი, ამ გაზაფხულის დღეს ქორფა ყველაფერი, ისეთი, ნაწვიმარზე რომ გამოუტცხლდება.

ცხენი გზის პირას მიმყავდა. მანქანები მიპეროდ-მოპერდნენ, მგზავრებს თვალი რჩებოდათ ჩემს ცხენზე.

ცოტა ხნის მერე უკან გავიხედე ავტოტუსის გამოჩენას ვეორდი. მინდოდა თვალი მომეკრა, თამრიკო გამოჰყებოდა თუ არა.

ლიანა დათუაშვილს თავში ისეთივე ბზე ეყარა, როგორც კაჭის. ვერ სწავლობდა, არცა რწევენოდა. ორიანს რომ მიიღებდა, ისე დაკონჭავდა კბილებს, თითქოს სუთანი გაინაღდა. კაკოსთან რომ ამხანაგობდა და მისი სიმღერები ხიბლავდა, ამში გასაკერი არაფერი იყო. მაგრამ თამრიკო, ეს ფრიადოსანი, სხვაზე მეტად ხაკითხი და ჭიკვანი გოგო რაღამ გადარია, ის მიკვირდა. ვერც ვერაფერს ვეუბნებოდი, ბულში კი ბრაზი მივლიდა.

ურთ დროს ვმეგობრობდით მე და კაკო, მერე, მართალია, ამანაგებად დაგრინით, მაგრამ ჩვენი გზები მაიც გაიყარა — ის სხვა რამით იყო გატაცებული, მე სხვით.

ორთვალაში შებმულმა სახედარმა გამისწრო. ჩაქაქით მიდიოდა. ორთვალაში შერიკაცი იჯდა და მიერევებოდა.

— მაშავ, ბედაურო! — მზიარულად შემომძახა ბერიკაცმა. და წევეპლა სახედარს უთუთა, ვითომ, ე მანდ მართლა არ იფიქროს გასწრებაო.

ჩამოიარა რაიონის ცუნტრში მიმავალმა ავტობუსმა მგზავრები ფანჯარაში იშყიტებოდნენ. აგრე ლიანა. ცხვირი შექისთვის მიუჰყულეტია. მის გვერდით თამრიკო ზის. სიღრმეში, ზედ გოგონების თავთან გიტარა, ფეხზე მდგომი კაჭო კი არა ჩანს.

ჩემს დანახვაზე ხელების საოცარ ქნევას მოჰყვა ლიანა. რაღაცას მანიშებდა, მუნჯურად მიხსნიდა. სასაცილო რამ იყო. თავი ვერ შევიკავე და გამცინა.

ავტობუსმა ჩამიქროლა. მაშინ კი აღვირის ერთი სხარტი მოქვეით, ფერდში ქუსლის შეხებით გაგრძნობინე შექურას, რაც მეწადა, და იგიც უმალ განითო გზაზე. ისე წავიდა, როგორც ჯირითისას, როცა ნიკაპით მის ფაფარში ვარ ჩაფლული, ის კი მიფრინავს და ქროლვით აღძრული ქარი ყურებში მიწივის.

ავტობუსი ფრთხილად მიდიოდა, რადგან წინ უამრავი მანქანა ხედებოდა, გავუსწარი. ის ბერიკაციც თავისი სახედრით უკან მოვიტოვე და ანთებული ბედაური სტადიონთან შეკავე. მხოლოდ აქ დამცეცხლა, რომ ასეთი გიური ჭენება არ მარგებდა, აკი გამეხებული დამზვდა კიდეც ამირან თედიაშვილი. ცხენს იული გადასდიოდა, თვალები ისე ანთებოდა, როგორც კარგად ხავარჯიშება.

— ეგ რა გიქნია?! — განრისხდა ამირან ძია, — გზაში ვირებს შეაჯიბრე?

ჩამოქვევითიდი. თავი დავხარე. დამნაშავე ვიყავი და თვალს როგორ გავუსწორებდი. სულ კი ლიანას ხელების პრანქების ბრალი იყო. მან გამახლა. არ მინდოდა ავტობუსის მაჩანჩალა ვყოფილიყავი, რომელშიც ის „ალენ დელონი“, „ბელმონდო“ იჯდა თავისი თაყვანისმცემლებით.

— შეჯიბრიდან გაგდევნი! — დამემურა ამირან თედიაშვილი. ცხენს გავაზე მოუსვა ხელი და თავი ერთხელ კიდევ გააქნია.

საწვრთნელი ვარჯიშიდან ქვეითად დავბრუნდი. ცხენი სადაცით მომყავდა.

მართლა ლამაზი რამ იყო ჩემი ცხენი. ერთ შეხედვად დირდა. ყელი მუდამ მოღერებული ჰქონდა და სუნთქვისას

ଲୁଗେ ମେଘଲୁଗି, ବେଦପ୍ରେଷେତା ଯେ ମନ୍ତ୍ରଲୁଗ ଅନ୍ତର୍ମିଳିଲ  
ନିର୍ମିଳ ପାତ୍ରଙ୍କରୁଣାର ପାତ୍ରଙ୍କରୁଣାରୁଣାର ପାତ୍ରଙ୍କରୁଣାରୁଣାର  
କାଲ ଜ୍ଞାନ୍ୟାଜେ, କାଲ କୁର୍ରିଦ୍ବୀପ ଏବଂ କାଲ ଅତ୍ୟ-  
ମିଳାନ୍ତିକାର, ଏବଂ ଅନ୍ତର ପାତ୍ରଙ୍କର କ୍ରେଷି ପାତ୍ରଙ୍କର  
ବେଦାର, କରମିଳିଲ ମାନ୍ଦିରମିଳିଲ ମନ୍ଦିରାଚାରିଲ ବେଦା-  
ରୀ ଅଭିନାମିଳିନା ଶ୍ରେଷ୍ଠମ ଏବଂ କରମ୍ଭଲୁଗି ଅଭ୍ୟା-  
ଶ୍ରେଷ୍ଠ ଏବଂ ପାତ୍ରଙ୍କର ଉନ୍ନତ ପାତ୍ରଙ୍କରୁଣାର

სახავოთ კუჩას გაცემით და შალე მივა-  
დექით ორად გაყოფილსა და მღინარეზე  
ჩატაროს იბინძებს.

— აი, ხედავთ! — დაიძახა ბუბამ და კი-  
ბის სახლურს გადაეყიდა. თვალი გავაყო-  
ლეთ მის ხელს და დაინახეთ სილაში ნა-  
ხევრად ჩაფლული ძევლი ხიდის ნაწილი.  
„თუ ერთი იძენი მიწაშია, ჩვენს ბედს  
ძალი არ დაშეუფას“, — გავითქმირე გულში.

მოულოდნელად წიგილ-კვირამა და უშ-  
უოთებულმა წამოძახილებმა მიიძყორ ჩემი  
უურადღება. გაიხედე და რას ვხედავ, ბა-  
კურის რაზელი გოგოები კისრისტებით  
ჩარბოლნენ მოპირდაპირ კიდეებზე და  
თან გაცემიროლნენ:

— ჩქარა, ჩქარა, ბაკურ, თორემ დაგას-  
წრებს ბუბა, ჩქარა, ბაკურ!

მე თვალისდახმაშებაში გავჩინდა მდინა-  
რის პირას. მიწიდან ნახევრადთავამოყო-  
ლილ ძევლი ხიდის მოაჭირისაეკენ თაქვედ-  
მოგლეჭილნი მირბოლნენ ბუბა და ბაკური.  
თითქმის ერთდროულად მიიჩნინეს, ისე  
მოწყვეტით შედგნენ, ტანი ძლიერ შეიკავეს,  
რომ ერთმანეთს არ შეხლოლნენ და ასევე  
ერთდროულად შეხტნენ ძევლი ხიდის მოა-  
ჭირებ. ორი ბიჭის სიმძიმისგან მოაჭირი  
ექანავდა.

— ეს ჩვენი ნაპოვნია! — გაცეცხლებუ-  
ლი იყო ბაკური, — გიგა მეტებზემ მოგვას-  
წავლა!

— მმ, გიგა მეტებზემ, — დამცინავად გა-  
იმეორა ბუბამ, — თქვენ ამ წუთში შეამჩ-  
ნიეთ მხოლოდ.

— მმ, ამ წუთში! — ახლა ბაკურმა გას-  
ცინა ბუბას.

— დიახ, დიახ, ახლა შეამჩინეთ. ჩვენ  
დაგინახეთ და მიხვდით, რისთვისც ჩავდი-  
დით მდინარეში... მე კი რამდენი ნანია ეს  
დაგულებული მაქვა... პაგას შენს ხელობას,  
ასე მოტყუებით გაგაქვს ცეცლგან თავი, —  
უსაფუძლოდ დაჭინებრა ბუბამ.

— ენა შეიმოკლე, ბუბა, შენ სულ ჩჩებს  
ეძებ და ერთხელაც იქნება დაგეხმარები  
ამვნაში.

— მე უშენდაც ვიპოვი!

— რას? რკინულს? — გულუბრყვი-  
ლოდ ჭითხა ბაკურმა.

— რკინულსაც და ჩჩუბსაც.

— ბუბა, ციცლე, გზილაც ჩამოშორდი.

— გზა, ფართოა, გაიარე!

— ეს მოაჭირი ჩვენს რაზეს ეკუთვნის.

— თქვენს რაზეს აი, ეს ეკუთვნის! —  
წარიიძება ბუბამ და პატრში გაიღლავა მისმა  
მუშტმა, მაგრამ, სახელინეროდ, ასცდა ბა-  
კურს.

სახელეწილმა ბაკურმა მოაჭირილან ის-  
კუპა.

— ჩამოდი ძირს და გაჩვენებ სეირს!

მაგრამ მოაჭირი აქანავდა და ბუბამ ისე-  
დაც ვერ შეიკავა თავი. ძევლება მეტოქეებ-  
მა მუშტები მოილერეს და ქშენით დაიძრ-  
ნენ ერთმანეთისაეკენ, ორივეს სახე ასწით-  
ლებოდა, მძიმედ სუნთქვადნენ, მე, ეთერი  
და მიტო მაშინც ბუბასთან გავჩინდით და  
მკლავებში ჩავაფრინდით. მაგრამ მან ერთი

შეიძერტა ტანი და უცელანი მოგვიშორა.  
იქით ბაკური გაკავეს მისმა რაზელმა გო-  
გოებმა, მაგრამ მათაც ჩვენი ბეჭა ეწიათ.

— დამაზრებეთ თავი! — უცვირა მათ ბა-  
კურმა, — ბოლოს და ბოლოს, მდესმე ხომ  
უნდა გაესრისონ ეს კოლო?

— იგიმე კოლოს ნაცენი! — დაილრიალა  
ბუბამ და ბაკურისაცენ გაქანდა.

— ეი, ლაზირაცებო!

— მოისმა უცრიად ვალაცის ჩაბორებული, მზრდანებულური ჩჩა.

ბუბა ადგილზევე გაიყინა, ბაკურიც შეკრთა.

კიბებზე დარღმიანული ნაბიჯებით ჩა-  
მოლიდა მაღალი, ბეჭებგანირი, შავტუხა  
ბიჭი, პაპირისა ახოლებდა და კამლებ მაღ-  
ლა ცისკენ უშვებდა. უკან არანალებ ჩაფ-  
სკვილი სამი უმარტილი მოძყვებოდა. მო-  
ხივეს სახლოსნო სასწავლებლის ფორმა  
მცვა.

როცა შავტუხამ მუშტმილერებული და  
სასცილიდ გაშემცებული ბუბა და ბაკური  
დაინახა, სიცილი წასკდა, შუა თითით წერ-  
პურტი გაშერა პაირისა, ანთებულმა პაპი-  
რისმა კვამლის ხაზ გავლილ პატრში და  
ბუბასა და ბაკურს უქებდათ დავარდა.

— ერთი უუშრეთ, ნამდვილ მამლაჟინ-

წებს არ გვანან? — მიუბრუნდა შავტუხა  
თავის აჩხანაგბს, მერე მზერა ისევ მოჩ-

ხუბრებზე გადაიტანა, — აბა მიდით, დაპ-

კარით, გამარჯვებულს ლიმონას დავალე-  
ვინებ!

მაგრამ ბუბა და ბაკური არ იდროდნენ,

ახლა ირივენი შავტუხასაკენ შემობრუნე-

ბულივენენ, მუშტები ისევ მოკუმშული  
ქვერდათ, თითქოს ძევლ მტრებს ახალი,  
საერთო მტრი შეეცროთ და შეკავშირებუ-  
ლივენენ.

— რა გაჩუბებთ, გასაყოფი გაქვთ რა-

ვე? ხეა ამოიღეთ!

დუმილი.

— მუშტები არიან? — დიმილით მოუბ-

რუნდა შავტუხა მიტოს.

— არა, იციან ლაპარაკი, — სერიოზუ-

ლად უსასხა მიტომ.

— რომელ ენაზე? — კვლავ იხუმრა შავ-

ტუხამ.

— ქართულზე!

— მაგრამ, ეტყობა, საერთო ენა ზაინც

ვერ გამოუნახავთ. რისთვის ჩჩუბობენ?

— აი, იმ მოაჭირისთვის!

შავტუხას სახე ეცვალა, თავის მეგობ-

რებს გადახდა მრავალმნიშვნელოვნად, მე-

რე ბუბას ჭკოთა ჭიქურ:

— რად გონდათ ეს მოაჭირი?

— ჯართ ვაგროვებთ! — ერთად წამოიძა-

ხეს ბუბამ და ბაკურმა.

შავტუხამ კვლავ მრავლისმეტყველად

გადახდა თანაფრინებულებს, მერე ისევ მოჩ-

ხუბრებს მოუბრუნდა:

— მერე იცით, მამლაჟინწებო, რომ სხვა-

სი ქონების გაყოფაზე ჩჩუბობთ?

— ეს მოაჭირი არავისი ყოფილა, დღე-

და კი ჩვენია! — ვთქვი მე.

— უკაცრავად, ქალიშვილო, — დამცინა-

ვი ცნობისმიუყარებობით შემათვალიერა

შავტუხამ, — უკაცრავად, ვერ შეგამჩინეთ,

თქვენ რომელი მამლაჟინწის არმიაში მსა-

ხურობთ?

— თავი დაანებეთ გოგოს! — დაუღრინა  
ბუბამ.

— უნდა მოგახსენოთ, ბატონებო და  
ქალბატონებო, — განაგრძო არტისტული

კილოთი შავტუხამ, — რომ ჩვენი სახე-

ლოსნო სასწავლებლის მოსწავლებსაც

მოუკრავ უური, თუ რა არის ჯართის

შეგროვება, მათაც იციან კარგი ნაღაულია

აღმოჩენა და საწყობში მიტანა, — შავტუ-

ხა ბოლთას სცემდა და თავის ფართო შე-

კებს დემონსტრატორულ მიმოარხევდა. მან

პაპირისი მოილობის ფორმის ფრინველი

— ამას გარდა, — განაგრძო მან, როდესაც ბოლი

ორქესტრისა მარიამისა პირიდან, —

იძულებული ვარ განგიმარტოთ, ბატონებო,

რომ ჩვენმა მოსწავლებსაც იციან აგრეთვე,

რა არის კრიფა, ვინ არიან არამკიოთხე ლაში-

რაკები და როგორ უნდა აუწიონ მათ უუ-

რი.

ეს უკვე მეტისმეტი იუო. ვიგრძენა,

რომ ჩვენი ბიჭები ამას ვერ მოითმენლნენ,

პირებელი ბუბა აუკრება.

— ნუ მიეღ-მოეღდეთ, თორემ...

შავტუხას განცილებულისაკან თვალება

გამოიყენებულა, მაღლილან ჩასტურდა

თითქმის ორჯერ მასშე დაბალ ბუბას.

— თორემ რა? — თქვა მან გამოწვე-  
ვად.

— ბუბა შეყვინდა, — თორემ და წავილებთ,

ჩემი აღმოჩენილია!

— გესმის, რა დიდ ბუშტებს უშვებს ეს

— რა გამოიყენებით მოაჭირო?

— ჯართ ვაგროვებთ! — ერთად წამოიძა-

ხეს ბუბამ და ბაკურმა.

შავტუხამ კვლავ მრავლისმეტყველად

გადახდა თანაფრინებულებს, მერე ისევ მოჩ-

ხუბრებს მოუბრუნდა:

— მერე იცით, მამლაჟინწებო, რომ სხვა-

სი ქონების გაყოფაზე ჩჩუბობთ?

— ეს მოაჭირი არავისი ყოფილა, დღე-

და კი ჩვენია! — ვთქვი მე.

— უკაცრავად, ქალიშვილო, — დამცინა-

ვი ცნობისმიუყარებობით შემათვალიერა

შავტუხამ, — უკაცრავად, ვერ შეგამჩინეთ,

თქვენ რომელი მამლაჟინწის არმიაში მსა-

ხურობთ?

— ამას გარდა, — განაგრძო მან, როდესაც

ბატონებო და ქალბატონებო მარიამისა პი-

რამის ფრინველი მარიამისა პირის გამოი-

ის მარიამისა პირის გამოიიდან არავისი

არავისი მარია

ქაფის კედი? — მიმართა შავტუხამ თავის ამხანაგებს, — კარგი, კეთილი, აიღოთ და წაიღით, ოლონდ ჩეარ! — შავტუხამ უშავტურად მოპრუშა ტუჩები, ამხანაგებს თვალი ჩაუკრა და კიბის საუცხურზე ჩამოჭდა. მერე უცხად გაახსნდა, — კი მაგრამ თქვენგნის რომელს ყკუთვნის, თქვენ ხმო დაომტდით?

— ჩემს რაზმ ყკუთვნის! — უპასუბა ბუბამ.

— მე თანხა ვარ, მერა რომ, შენს რაზმს ყკუთვნის, დავა გადაწყვეტილია. ამა, წაიღით ახლა, ჩეარ! — და შავტუხამ კვლავ თვალი ჩაუკრა ამხანაგებს.

ბუბა მოაგირს დაეძერა და ასწია, რომ მიწიდან ამიღებო. ბაკური ხმას არ იღებდა, არ ვიცა, რატომ, იქნებ იმარკომ, რომ შავტუხასთან კამათში ბუბამ გამოიჩინა თაონბო. იგი თავის გოგონებთან ერთად განწერ გამდგარიყო და ნალვლიანი თვალებით გაცურებდა ბუბას ჭიდილს ხიდის მოაგირთან. რაზმის წევრებიც წამოვეველებ ბუბას, ითხივენი დავეპროჭილეთ სილაში ნახევრადჩაფლულ მოაგირს, მაგრამ ძრავაც ვერ ვუყავით.

— მოიცა! — თქვა ბუბამ, წელში გაიმართა და ხელის ზურგით ზუბლიდან თვალი მოიწინდა. — ნაფორები და ჭოხები მოძებნეთ, ჯერ სილა გადავაცილოთ მოაგირს.

ასეც მოვიქეციოთ და ათ წუთში უცელავერი მზად იყო.

შავტუხა დაძაბული გვადევნებდა თვალს. ბუბამ და მიტომ წინიდან ჩავლეს ხელი მოაგირს, გოგოებს უკანა, მიწიდან ახლადა. მოლებული ცველი მხარე გვერგო.

— მზად ხართ? — დაიძახა ბუბამ, — ამა, ერთი, ორი და სამი!


დავძაგრეთ, დავიძაგრეთ, მაგრამ, ჩვენ და გასუკირველად, მოაგირს ძრავაც ვერ ვუჟავით.

— ხა, ხა, ხა, — ჩაგვესმა ყურში შავტუხას ხარხარი, იგი კიბეზე გადაწვა და შეცელებ ხელები მიიჭირა, — უცურეთ, ერთი, უცურეთ, როგორ მიაჩენინებენ! ხა, ხა... ამა, ჩეარა, ჩეარა წაიღით, რაღას უცურებთ?

ჩვენ კიდევ ერთხელ დაიიძაპეთ, წელი მოვიწყვიტეთ, სირცვილი გადავულაპეთ ძაგრას, უკაცრავად პასუხია, არაუცემი გამოვიდა. შავტუხას ახლა მის ამხანაგებიც აჟყვენენ, იცინოდნენ და იხოცებოდნენ სიცილით. ბაკურსაც დიმი მოერია, მაგრამ ხმამაღლა ვერ გამდა სიცილი.

— არ ყოფილხართ ღირსნი! როგორც ჩანს, ეს მოაგირი პირველად, აი, იმ კარგმა, ბიჭმა აღმოაჩინა, — თქვა სერიოზულად შავტუხამ და ბაკურს ხელი დაუქნია, — მოდი, წაიღი, ვიცოდი, რომ შენ იყავია ამის ნამდვილი მფლობელი, — და მეტი

დამაგერებლობისათვის შავტუხა წამოდგა, შარვალი ჩაიფერთა. ამხანაგებმაც მიბაძეს და კველა ერთად კიბებს აჟევს, თან გზადაგზა რაღაც თავის საქმეებზე დაიწყეს



მოექცია ისინი, როგორც მოაგირის ხიბიმები მოაქცია ბაური.

— ეს რასა ჰგავს... ხა, ხა, ხა, ერთმანეთს თავ-პირს ამტვრებდით და ახლა აღარც ერთს არ მიგავთ? ეს... ეს რა იონ... იონ-ბაზობაა, თუ არ გინდლდათ ეს მთა მოაგირი, ვერა თქვით?

ახლა დაბეჭიოთებით დავრწმუნდი, რომ შავტუხამ კარგი მსახიობივით გაითამაშა გულგრილობა და წასვლა.

— ამა, ახლა ხუმრობა გვეუოლა! — უცურად შეცელითა სიცილი შავტუხამ და ამხანაგებს ანიშნა, მოაგირი წავიღოთთ. — ვიჩეაროთ, თორემ საწყობამდე არც ისე ახლოა.

მათ სახლოები დაკამინეს. დაკუნთული მკლავები გამოაჩინეს, თოხივე მხარეს ჩაუდგნენ მოაგირს, დაიხარენ, დაავლეს ხელები, მერე წამით ერთმანეთს შეხედეს. ჯველანი მზად თუ ვართო და ნელ-ნელა, შეუმჩნევლად. თათქას უზარმაზარ ხეს სჩრაც მიწიდანო, მუხლებამდე ასწიებ ძველი ხადას მოაგირი. ჩვენ უცელანი, ორი-ვერ რაზმის წარმომადგენლები, ნაცემი ძალ-ლებივით შეცურებდით ამ სურათს, ხელიდან გვეცლებოდა ჩვენი მოაგირი, ჩვენი იძედი.

— ამა, წავედით! — თქვა შავტუხამ, მაგრამ მე მისი კილო შეუცნაურა, თითქოს კბილებში გამოურნა ამ ორმა სიტუამ, თითქოს მის სათქმელად შავტუხას უდილესი ენერგიის დახარჯვა მოუხდა. ერთი-ორი ჩაბიჭი გადადგა სახელოსნო სახწავლებლის „დამსკელმა“ რაზმა, მაგრამ მოაგირმა, თითქოს უცურად გასულიერდა, თავისნებაზე მიაჩნ-მოაგირსა ცმაწვილები, მათდაუნებურად ირიბად გაიქცნენ თითქოს მიმაგნიტებულ ხიდის მოაგირს, ჩავლეს ხელი და მოისმა ბაკურის ჩუმი ბრძანება:

— ამა, ერთად ვითვლი: ერთი, ორი და სამი!.. ვაიმე!! — უცურად ამ მოულოდნელი ამონაკვნესით დამთავრდა ბაკურის ბრძანება. მან ხელი უშვა დაწყველილ მოაგირს და ადგილზევე გაშეშდა, სახეზე ტკილი გამოეხატა, წელში ვეღარ იმართებოდა, ისე იყო მოკაცული, თითქოს მიწაზე რაღაც დაკარგულ ნივთს ეძებს.

— რა მოხდა, ბაკურ?

— წელი, წელი მეტკინა!

ამის თქმა და შავტუხას სატანური ხარხარი ერთი იყო, სახელოსნო სახწავლებლის მოსწავლებში ერთი სიცილ-ხარხარით და მუცლებზე ხელის ჭრით უკავე ჩამოირბინეს კიბები, თვალებიდან ცრემლები სცვივოდათ და მე შემეტინდა, სიცილი ისევე არ

მოულოდნელი იუ მათი ასეთი უსუსურობა.

— გეუფლათ, უკელამ გავიცინეთ, ახლა საქმეს უცულებელი! — იხტიარგაუტებლად ოქა შავტუხამ, თოქოს საკუთარი თავის შეცხვევას პროგრამით ჰქონდა გათვალისწინებული, — აბა, მოძიოთ აქ სათითაოდ, კაპიკა თქვენ ფასი, მაგრამ იქნებ ერთად ცოტა წამოგვეშველოთ.

ცოტა ხნის შემდეგ, თორმეტი ბაგზი, ზოგი დიდი და ზოგი პატარა, ზოგი გოგო და ზოგი ყმაწვილი რკინებულობის საწყობისკენ მივარახახებდით აწ დამორჩილებულსა და მოთვინიერებულ მოაჭირს. იმაზე არაფერს ვამბობ, რომ შავტუხამ მოაჭირის ნახევარი ჩვენ ირ რაზეს გავიყო და საწყობის გამგემაც ახე ჩაგვიწერა დავთარში.

მაგრამ ბუბა, ამ შემთხვევით მაინც არ იუ კმაყოფილი. იგი დიდ იმედებს ამყარებდა ძევლი ხილის მოაჭირს, ფიქრობდა, რომ მისი მოპოვების შემდეგ ჩვენს რაზეს აჩხინად შეეძლო ყოფნა. ეს მართლაც ახე იქნებოდა, მაგრამ მოულოდნელმა შემთხვევამ იმ მოაჭირის წონის მხოლოდ შეოთხედი გვარგუნა. ბაკურის რაზემაც, ბუბას თქმით, ხელის გაუნდებულად მოიმვა ამდენივე. და ამჟამად ბაკური ისევ წინ იუ ჩვენს. აი, ეს ადარდებდა ვარიის გამოქვაბულებებზე მეოცნებებ ბუბას. შესვერების დროს იგი გახედავდა ხოლმე სივრცეს, ან მიწას დაცემებიდან და ხმამალა ოცნებობდა. გონების თვალით წარმოიდგენდა მთელ თავის მომაგლ ტურისტულ ლაშქრობას, წარმოიდგენდა, თუ როგორ უუსრებდა ყანობილის ობსერვატორის უზარმაშარი ტელესკოპიდან ციურ სხეულებს და მათ შორის შეროლავ საბჭოთა თანამეზაფრის...

დღე დღეს მისდევდა. დილით, პიონერთა ბანაკში გამოცხადების შემდეგ, ჩვენ ქალაქში გავლილით ჭართის შესაგროვებლად გადავწყვიტოთ აღარ ჩაგვეხდნა საწყობის გამგის დავთარში და აღარ შეგვემოწმებინა ხოლმე, თუ რამდენად წინ იუ ჩვენს ბაკურის რაზემი, სქობდა მუშაობაზე გვეციერა, აღმოგეხინა ახალი და ახალი რკინის „საბალოები“ და, რაც მთავარია, არ გვეჩარმაცნა. ჩვენი აზრით, წარმატება თავისთავად უნდა მოსულიყო, უნდა გაგვემარჯვნა თუ მართლა ლირსი ვიყავით, თუ არა და... ერთი სიტყვით, ვთქვით და ბეჭედი დავსვით, მხოლოდ კვირაში ერთხელ შეგვომწმებინა საწყობის გამგის დავთარი.

ერთ დღეს პიონერთა ბანაკის საერთო შეკრებაზე, ბანაკის უფროსმა ახალი ამზადი გვამცნო—თურმე პიონერთა ორგანიზაციის ორმოც წლისთავთან დაკავშირებით ცენტრალურმა საბჭომ მოუწოდა ჩვენი ქვეყნის პიონერებს „ორი წლის განმავლო-

ბაში მილიონი ტონა ჭართი შეეგროვებინათ“.

— აა, მაგის ერთი მეტილიონელი რომ მოიკოოს ჩემმა რაზემა, კარგი ბიჭები ვიქნებით! — ინატრა ბუბამ.

— ორი წლის მანძილზე?

— ორი წლი რა ამბავია? ამ თვის დამლევამდე!

მაგრამ, სამწუხაროდ, ვამჩნევდით, რომ თანდათან ძნელი ხდებოდა რკინეულის შოვნა. საკუთარ ეჭოები ერთი „ცუდად“ დაგდებული თუ მიჭიდებული ლურსმანიც არ დავტოვეთ წაულებული. დიახ, ლურსმანი, რომელსაც პირველ ხანებში უკადრისობდა ბუბა, მოვიარეთ სახლების სხვენები და ჩაუანგული და ქადალდივით დაჭმუჭნული თუნუქის ფურცლები შევაგროვეთ. ახლო-მახლო ქუჩების მთელი „ვალადიდება“ უკვე საწყობში ელავა.

ერთი სიტყვით, მიცედით იქამდე, რომ ერთ მშვენიერ დღეს ბუბამ აათვალ-ჩათვალიერა მიტოს ხალაზე მიმუშლი, ათასფერად აბრკუვიალებული სამკერდე ნიშნები და თქვა:

— შინ გაქვს კიდევ?

— ორი ამდენი! — სიამაყით წარმოთქვა მიტომ.

— მოუარე, არ დაკარგო, შეიძლება დაგვჭირდეს.

მიტოს ფერფური ეცვალა, იმ დღის შემდეგ ჩვენ აღარ გვინახავს მისი სამკერდე ნიშნების სრული კოლექცია. ბუბა მწარედ იცინოდა ამ შემთხვევისა და საერთოდ ჩვენი გამირების გამო.

გაიარა ერთმა კვირამ და სალამ უასს, როდესაც საწყობის გამგე ჩვენს მიტონილ რაღაც ხუთოდე კილო რკინეულს წონიდა, ბუბამ დავთარში ჩაიხდა:



— მოდიო აქ! — ხმის თრთოლვით მოგვიზმობუბამ. ჩვენ მივცვიდით და იმ ადგილზე, დავთარში, სადაც ბუბას თითო კანკალებდა, წავიკითხეთ ციური — 402 კგ ბავრურის რაზეს კი მხოლოდ — 318 კგ ჰქონდა მიწერილი.

— ხმ გეუნდებოდით, — თვალებგაბრწყინებული ამბობდა ბუბა, — არ არის-მეთქი საჭირო ყოველ წუთს დავთარში ჩახელვა. ვმუშაობდით რაც შევვიძო, და აი, ვამარჯვებოთ კიდევაც.

სიხარულისაგან უკელამ ტაში შემოვკარით.

— აწი უფრო ფეხზლად უნდა ვიყოთ, რომ ეს წარმატება შევინარჩუნოთ, — გაგვაურთხოლა ბუბამ.

— ვერაცერი წარმატება! — შენიშნა საწყობის გამგემ, რომელსაც აწონდა დაემთავრებინა და დავთარში ახალ ციურს წერდა.

— რატომ ვითომ? — ჰკითხა გაკვირვებულმა ბუბამ.

— მწოლარე კაცს აკვინის ბავშვიც აჭობდეს!

— ვინ არის მწოლარე?! — წამოიყვირეთ ერთხმად.

— განა არ იციო, რომ ბაკური მესამე ღლეა ავად არის?

— ბაკური? ავად?

— მხოლოდ ის საცოდავი გოგოები დადიან, — გაერიმა გამგეს და ეთერს მიუბრუნდა, — კანსერვის კოლოფების გარდა, ვერაცერი მოვკვო, რა თქმა უნდა, აჭობდოთ, მით უმეტეს თქვენს რაზეში ორი ბიჭია.

გაცვიფრებულნი და ოდნავ ნირწამბდანი ვიყავით; რა ხანმოკლე გამოდგა სისახული. ასეთმა იმედეაცრუებამ რწმენა დამიკარგა გამარჯვებისა. ბუბა იღვა თავისულული და საკუთარ ცერა თითო ღევედა.

უხმოდ გამოვდეთ გარეთ და უურებჩამოყრილნი დავაღებეთ ქუჩას.

უცრად ერთმა ბეღინერმა აზრმა გამიერდა: „ზართლია, ასეთ გამარჯვებას ფასი არა აქვს, მაგრამ ერთი ხმი წახალია, ბუბა ხმი ახალი ნამდვილად წავა ტურისტულ ლაშქრობაში, უკვე ვეღარაცერი შეუშლის ხელს, სიტყვა! გაიმარჯვა: ეს იგი, უნდა წილებინონ.“

მხიარულ უურებაზე დავდექი მისაროდა ბუბას მომავალი სიამოვნებანი.

ჩვენ ვეძებდით, ვეძებდით... ვეძებდით ჭართოს, მართლაც რომ თავაულებლად განვაგრძობდით მუშაობას. დავთარში მას შემდეგ აღარ ჩაგვინედნია, რაღაც აშკარა იყო, ყოველდე უფრო და უფრო წინ ვუსწრებდით ბაკურის რაზეს. მაგრამ, მიუხედავად ასეთი წარმატებებისა, ბუბა არ იყო ხასიათზე. მას შემდეგ, რაც ბაკურის ავადმყოფობა გაიგო, სულ მობდვერილი დადიოდა, იშვიათად ამოიღებდა ხოლმე ხმას, აღარც ვარძიას გამოქვაბულზე ლაპარაკობდა, აღარც ტელესკოპის გამგებაზე ლაპარაკობდა.

# ს ა ბ ა ნ ა კ რ

მურან ლებანიძე

დაიბეჭდა უზრუნველ პიონერში 1961 წ.

როგორც ქლდეზე გადახრილი  
ჯონქა იწმის დაახსილი,  
დაირხა და გაიშალა  
ნაძვნარებში ხმა საყვირის,  
და რიურაჟი წამოფრინდა  
ტოროლივით ფრთაგაშლილი.

გამარჯვებათ, გამარჯვებათ,  
მშობლიურო ჭალაკებო!  
ჭალაკებში საგანგებოდ  
ანაგებო ბანაკებო!..  
გამარჯვება, სიცოცხლეო.  
და სამშობლოს ცავ ნათელო!

რას მიქვიდა დასკენება,  
განა მართლა დავიღალეთ!  
აგერ, ჩვენმა მთამსვლელებმა  
მთაზე დროშა გაიტანეს  
და კვლავ თვალშინ გადეშალათ,  
ისევ ჩენი კარგი მხარე...  
რას მიქვია დასკენება!

ასე უქმად გაჩერება.  
შეხე ძველი ციხის გუმბათს  
შევარდენი თაქს ევლება:  
იმ ციხესთან წაიჩოებეს  
თურქებმა და სპარსელებმა.  
წამო, ვეთხრათ ბებერ ციხეს  
ახალგაზრდა სიმღერებით,  
რომ გულადი ბიჭები გართ  
და თვითონ ვართ ციხეები!  
წამო, მისმაც შევგაუროლოს  
ვუთხრათ ჩენი სიმღერებიც!  
ბიჭო, წამო, პურის ძნები  
სერ-სერ დგანან ასობითა,

გამოვუძღვეთ გზაზე ურმებს,  
დაუსტკბეთ ქვეყნის ნაშრომითა,  
გავახაროთ გლეხი კაცი  
ჩენი ყმაწვილგაცობითა!..

შეხე, დილა ცად მიფრინავს  
ტოროლივით ფრთაგაშლილი,  
როგორც ქლდეზე გადახრილი  
ჯონქა იწმის დაახსილი,  
გესმის, გვიხმობს მარადიულ  
სიცოცხლისკენ ხმა საყვირის!

გამარჯვებათ, გამარჯვებათ,  
კორდებო და ჭალაკებო!  
ჭალაკებში საგანგებოდ  
ანაგებო ბანაკებო!  
გამარჯვება, სიცოცხლეო  
და სამშობლოს ცავ ნათელო!

როდესაც მუშაობას მოვრჩებოდით, დაი-  
კრებოდა, მეორე დღემდე ველარ ვხე-  
დავდით.

ერთ კვირა დღეს მამამ პაპიროსის სა-  
უდღად გამგზავნა. მაღაზია რკინეულობის  
საწყობის პირდაპირი იყო. როდესაც მაღაზი-  
ოდან გამოდიოდი, უნდებურად გავიხედე  
საწყობისკენ და უეცრად ბუბა შევიცანი.  
ზურგზე მოზრდილი რკინის ბორბალი მო-  
კიდა და საწყობში შესვლას პირებდა.

— ბუბა! — დაუუძრე და მისკენ გავი-  
ვიცი.

ბუბა შეჩერდა, მძიმედ შემოტრიალდა და  
როცა დამინახა, შევატევ არ ესიამონა.

— რა გინდა? — მყაცრად მკითხა შან.

— ბუბა, რა საჭიროა კვირა დღესაც რომ  
წვალობ, ჩენი ხმა ისედაც გაიმარჩებო!

— ვითომ? — მკითხა მან და სახე მომა-  
რიდა.

— რა თქმა უნდა, განა შენ არ გჭერა?

— ვეტენდ, — თქვა მან, მერე სასწრა-  
ვლი შებრუნდა და მომახახა, — მანდ და-  
მიცდე, ახლავე მოვალ!

— მეც შემოვგები, ბუბა!

— არა, დამიცადე-მტექი! — რატომდაც  
დამიღრინა მან, მაგრამ მაშინ უზრადლება  
არ მივაჭცი ამას და საწყობში შევყველი  
ბუბამ ბორბალი სასწორებ დავგდო, ერთი  
მრისხანდ შემომხედა და გამგეს უთხა:

— ასწონეთ!

გამგე ასწონა და ბორბალი საწყობის  
კარიელ კუთხეში მიაგდო, ცარიელ კუთხე-  
ში-მტექი, რადგან ორი დღის წინათ ერთი  
ვაგონი ჭართი რუსთავის მეტალურგიულ  
ქარხანას გავუგზავნეთ... მიაგდო ბორბალი  
კუთხეში და გაშალა დავთარი.

— ისევ ისე, ხმა? — ჰკითხა გამგემ  
ბუბას.

— დიახ, ისევ ისე!

— რას ნიშნავს „ისევ ისე?“ — გავიციქ-

რე და დავთრისაკენ შეერა გამექცა და,  
ო, რა დანახა ჩემია თვალებმა — ბორბ-  
ლის წონა გამგემ, ვითომც აქ არაფერი  
უოფილოს, ბაკურის რაზმს მიუწერა.

— რას ნიშნავს ეს, ბუბა? — შევკირე  
მე.

— შენი საქმე არ არის! — ცივად  
მომიგო მან.

— სწორედ რომ ჩემი საქმეა, ეს დალა-  
ტია, მეტი არაფერი!

— ხმა გაეგიმიდე-მტექი, ხომ გესმის?! —  
ლამეზურა ბუბა.

შე ძალიან, ძალიან მომხვდა გულზე მი-  
სი უხეში სიტყვები, მაგრამ ახლა ამის  
დრო არ იყო.

— ღალატია, ღალატი, არც კი გრცხე-  
ნია. აი, თურმე რაბეს აკეთებ ჩუმჩუმად!

— არა, ბიძიო, სცდები. — ნიშნისმო-  
გებით მითხრა გამგემ, — ეს ღალატი კი  
არა, ნამდვილი მეგობრობაა. ასეთები უნდა  
იყოთ ცველა! — და თითო ბუბასკენ გაიშ-  
ვირა.

მეტი ველარ ავიტანე, კინალამ ავტორიდი,  
საწყობიდან გამოვარდი, რომ ეს ამბავი  
ჩენი რაზმის შევრებისაფინი მეცნიერინა.

აი, თურმე სად იყარებოდა ბუბა ხალ-  
მობით, რატომ მოდიოდა დილ-დილობით  
დასიებული თვალებით და რატომ იღლებო-  
და ასე ადვილად ბოლო ხანგში. ვიგორე-  
დი, გულში ვლანდავდი ბუბას და უეც-  
რად, ჩემდაუნებურად შუა ქუჩაში ხმამა-  
ლა წამომცდა:

— რა კარგი კუთხელიარ, ბუბა!

თვითონ გამივირდა ამ სიტყვებისა, მაგ-  
რამ ეს ალბათ შედეგი იყო იმისა, რასაც  
აქამდე გულის სილრებში ვგრძნობდი, რაც  
ჩერებოდა და რასაც ჩემს თავს ვერ უუ-  
რავნებდი.

— ურჩალ, ბუბა!

ბაკურის რაზმია გაიმარჩვა, მაგრამ არც

ერთმა მისმა შევრმა არ იცოდა, რომ ეს  
ბუბას „ბრალია“ იყო. გამარჯვების აზავება  
საწოლში მიუსწრო ბაკურს და, ალბათ,  
ეს სიხარულიც იყო მისური მისი სწრაფი  
გამოჯამიროებითა.

იმ დღეს, როდესაც ტურისტული ლაშ-  
რობის მონაწილე პიონერებით სავსე ბორ-  
ჯომის მატარებელი თბილისის ხადგურზე  
იღგა და გასვლას ელოდებოდა, მე და ბუ-  
ბა არაფინიის სახელმის პარკში ვიზ-  
ექით და აუზში მოცურავე გედებს შევუ-  
რებდით.

— გინდა წამო, ტირში ვისროლოთ,  
შემომთავაზა ბუბამ, — შენ იცი სროლა? მე  
მე გავუვევო.

ცოტა ხნის შემდეგ ბუბამ მკითხა:  
— მიტო და ეთერი მიღიან?  
— კი!

— შენ როგორდა დარჩი, შენ ხომ ადრე-  
ვა გეონდა უფლება მოპოვებული?

— ჰო, მქონდა; ჩემმა კედლის გაზრომა  
ცევლას აჭიბა.

— მერე ასტომ არ წახვედიო?

— არ ვეცი... არ წავედი... — დავისუ-  
ში, გავწილდი და ბუბას სახე ავარიილ  
— ბაკურმა იცის, რომ...

— არა, არაფერი იცის, მხოლოდ კო-  
გვირვებულია გამარჯვებით.

— ძალიან კარგი, თუ არ იცის.

— მაგრამ შეიძლება მიტომ უთხრას  
გააში!

— არ ერცვის, მე დამირდა, არ ვე-  
ციო. — თქვა ბუბამ და ტირში შეაბია, მაგრამ უეცრად  
შესასვლელშივე შეჩერდა  
და სმენად გადაიკცა.

საღურულიდან ისმოდა ელმავლის საყვი-  
რის გაბმული ხმა

(ძვილი ლიგნდა)



## კან, ჩათვი და რაგიაზ კაცი

ზღაპარი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ღა-  
იბი კაცი. დილით ჩვეულებისამებრ,  
აძლევაზე წაიყვანა თავისი ძროხა  
იყოცა კაცმა ტყეს ჩაუარა, რაღაც უც-  
აური ხმა შემოქმნა. მან გზიდან გადა-  
ხვია, უნდოდა გაეგო, საიდან ისმოდა  
მაგრი. ხედავს: დათვი და კურდელი  
რთმანეთს ეთამაშებიან და მხიარულად  
ტან.

„ასეთი რამ ჯერ არ მინახავს“, —  
ეს კაცმა და მხიარულად გაიცინა.

„როგორ ბედავ ჩემზე სიცილს? —  
აიღრიალა დათვმა — ამას არ შეგარ-  
ენ! ახლავე შეგსანსლავ.“

კაცს ფერი ეცვალა. იგი დათვს შე-  
ვედრა — „აჭ, გეთაყვა, ნუ იზარ ამას.  
აა თუ შენსას არ დაიშლი, მაშინ სა-  
ამომდე მაინც დამაცადე, სანამ ჩემი  
ჯახის მარჩენალ ძროხას შინ მოვიყ-  
ან.“

„მაშ კარგი — თქვა დათვმა — სა-  
ამომდე ხელს არ გაბლებ, მაგრამ შემ-  
ვეგ კი ჩემ ხელში იქნები“. ასე

კაცი თავის გზას გაუყვა. იგი ფიქ-  
რებში ჩაიძირა, ვერაფერი მოიფიქრა  
სეთი, რითაც შეიძლებოდა გამოსავლის  
თვენა. უეცრად გზაზე დაინახა მელა,  
რომელიც მისკენ მოცუნწულებდა. მე-  
ლამ კაცს დალონების მიზეზი ჰკითხა:  
— სიც მოუყვა დათვთან შეხვედრის ამ-  
ავს.

„თუ ეს არის მოელი შენი უბედუ-  
რება, შემიძლია დაგეხმარო და გაჭირ-  
ებისაგან გიხსნა. მაგრამ სამაგიროდ  
რას მომცემ?“ კაცმა არ იცოდა, რა უნ-  
და მიეცა მელისასთვის. არაფერი გა-  
ჩნდა. მელა კი ალბათ ბევრს მოსთხო-  
ვდა. რჩევისათვის. ბოლოს შეთანხმდ-  
ნენ: მელას უნდა მიეღო ცხრა დედალი  
და ერთი მამალი.

„აბა, ყურადღებით მომისმინე! —  
უთხრა მელამ. — რიცა სადამოხანს  
დათვი მოგა, მე ბუჩქში ჩავიმაღები და  
ისე ვიყვირებ, დათვს მონადირები  
ეგონება. დათვი შეგვითხება: ეს რა ხმე-

ცხოვრობდა ერთი ახალგაზრდა პო-  
ეტი. დღისით ეძინა, ღამით კი თა-  
ვის პატი მყუდრო სენაქში იჯდა და  
წერდა ლექსებს მთვარეებსა და ვარსკვლა-  
ვებზე, სიყვარულსა და კაეშანზე.

მაგრამ არავის სურდა მისი ლექსების  
წაკითხვა. პოეტი ძალიან დანაღვლი-  
ანდა, შეიძულა ადამიანები, რომლებიც  
მას ვერ უგებდნენ.

ერთ დღეს პოეტი მამის მეგობარს,  
ძველ მესათეს ეწევა. უნდოდა თავისი  
შეხილი შეეჩვლა და რჩევა ეთხოვნა.

ძველი მესათე ჩინებული ოსტატი  
იყო. მის სახელოსნოში ნახავდით უძ-  
ვირფასეს და უშვიათეს საათებს.

მან მდუმარებ მოისმინა ახალგაზრ-  
და პოეტის ჩივილი, მერე თაროდან პა-  
ტარა ყუთი გადმოიღო და გახსნა. შიგ  
ედო მთელ მსოფლიოში ერთადერთი



უმნიშვნელოვანები და უსაოცრესი ჴა-  
თო. იგი აჩვენებდა მთვარისა და ვა-  
სტევლაგების მოძრაობას, ზღვის მიმოქ-  
ცვეს, კვირის დღეებს, წელიწადის  
დროებსა და ბევრ სხვა რამეს.

პირველი საათით ძალშე მოიხიბლა და  
ფასი ჭითხა.

— უბრალოდ შენს ჯიბის საათში  
გაგიცვლი, — მიუგო ოსტატმა. კმაყო-  
ფილმა პოეტმა მისცა თავისი საათი,  
ახალი ჯიბეში ჩაიდო და შინისკენ გას-  
წია. თაგა ბედნიერად გრძნობდა.

ორიოდე დღის შემდეგ უძანვე დაბ-  
რუნდა სახელოსნოში.

— დამიბრუნე ჩემი საათი, — უთხ-  
რა ოსტატს, — და აპა, წაიღ შენი  
ჯადოსნერი ქმნილება.

— რატომ არ გინდა ატარო? —  
ჭითხა მესათემ.

— შენი საათი მიჩვენებს დღესა და  
ღამეს, მატყობინებს გაზაფხულია თუ  
ზაფხული, მაცნობს მთვარის ავტე-  
ბას, — მიუგო პოეტმა, — მაგრამ  
დროს არ მიჩვენებს, არ ვიცი, რომელი  
საათია. უსარგებლო რამ არის, ბატონი  
ჩემო!

ოსტატმა საათი ისევ თავის ყუთში  
ჩადო.

— შენ მართალი ხარ, — უთხრა პო-  
ეტს, — ზღვის მიმოქცევა შორეული ამ-  
ბავა, ხოლო დღეების გაება კალენ-  
დრიაც შეგიძლია. აბა, ერთხელ კიდევ  
გადასწვე შენი ლექსები და დაფიქრ-  
დი, ამ საათს ხომ არ ჰქონან?

საათზე გახსნა. დღის წესრიგში იყო  
მხოლოდ ერთი საკითხი: „ნორჩი ფან-  
ტასტების კლუბში“ ახალი წევრების  
მიღება“.

პირველად სიტყვა IX-ა კლასის მო-  
სწავლე რუდის მისცა და მანაც და-  
იწყო:

— ეს იყო შარშან, საზაფხულო არ-  
დადეგების დროს. ჩვენ მაშინ სოფლად  
ცცხოვრობდით. იქ ერთი ვარხვი გავი-  
ცანი და იგი ოვეგზის ჭერაში მეხმარე-  
ბოდა. ვარხვს იაკობი დაგარქვი. დედა-  
ჩემს უგვირდა, შინ უამრავი თევზი რომ  
მოქვენდა. ფრინველთან დაამზანაგების  
შესახებ მისოვთის არაფერი მითქვამს. მან

კლუბში, ფანტასტები დიდ გამომგონე-  
ბელთა ცხოვრების წლებს უნდა იცნობ-  
დენ. თომას აღვა ედისონი მეცხრამე-  
ტე და მეოცე საუკუნეებში ცხოვრობდა,  
იგი დაიბადა 1847 წელს და 1931-ში  
გარდაიცვალა.

ახლა უკვე ჩემი ჯერი დადგა, მაგ-  
რამ შიშისაგან სულ გადამავიწყდა, რი-  
სი მიყოლაც მინდოდა და რამდენსამე-  
ბანს გაოვნებული ვიდები.

— აბა, დაიწყე, კარინა, რაღას უც-  
დე? — გამახსენა უვემ და მეც დავი-  
წყე მოყოლა იმის შესახებ, თუ ზაფხულს  
როგორ გავატარებდი:

— ავდგები დილის 6 საათზე, ვივარ-



არ იცოდა, რომ იმ დროს, როცა მე  
ტბის ნაპირას ვიწევი და „ფანტასტი-  
კურ მოთხოვობებს“ ვკითხულობდი, ია-  
კობი სათლს თევზით მივსემდა. ზაფხუ-  
ლის მიწურულში ჩვენი მეყობრობის სი-  
მახსოვროდ, ტბასთან ჭადარზე დანით  
ჩვენი სახელები — რუდი და იაკობი —  
ამოვჭერო.

რუდიმ თხრობა დაამთავრა თუ არა,  
უიურის წევრი მონიკა წამოდგა და  
თევა:

— რუდი, შენ ჩვენი კლუბის წევრად  
ვერ მიგიღებთ. ფანტასტი ბუნების მოყ-  
ვარულია, იგი ტყეს — მცენარეებსა და  
ცხოველებს უნდა იცავდეს. შენ კი რა  
გიქნია? შენი სახელი ხეზე ამინგიჭრია.

მორიგი კანდიდატურა X-ა კლასელი  
ოტო გახლდათ. იგი ჯიქურ მიიჭრა კა-  
თედრასთან, ოდნავ ჩატეველა და თავის  
საოცარ ფანტაზიას გასაქანი მისცა:

— ეს მოხდა 1728 წელს, როდესაც  
მე და ედისონმა ერთად კიბერნეტიკუ-  
ლი მანქანა გამოვიგონეთ...

მაგრამ უვემ მაშინვე შეაწყვეტინა  
ოტოს:

— არც შენი მიღება შეგვიძლია ჩვენს

ჯიშებ და მერე ტბაზე ჩავირბენ (ტბას-  
თან ახლოს ცცხოვრობთ), ერთ ნაჩე-  
ვარ საათს ვიცურავებ. 7 საათზე შინ  
დაგრუნდები და საუზმეს მოვამზადე.  
უიდრე დედა აღგება, ყველაფერი უკვე  
მაგიდაზე იქნება — ჩაი, რძე, პური,  
კარაქი, გვერცხი და ჩემი გამომცხ-  
ვარი მაჭებატები.

საუზმის შემდეგ ჭურჭელს გავრეც-  
ხავ, ოთახს დავგვი, ავეჯიდან მტერს  
გადაგვიმენდ. მერე ავიღებ ჩანთასა და  
ფულს და ბაზარში წაგალ, მოვიტან  
ნორცს, ბოსტნეულსა და ხილს სადილი-  
სათვის. მერე ჩემ პატარა ძმას ჩავაცმევ  
და ტყეში წაგიყვან სოკოსა და მარწყ-  
ვის საკრეფად...

— საკმარისია! — წამოიძახეს უვემ  
და მონიკამ ერთხმად, — უყოფანოდ  
მიგიღებთ „ნორჩი ფანტასტების კლუ-  
ბის“ წევრად, შენ მართლაც დაუკერ-  
ებლი ამბავი მოგვიყენი.

გერმანულიდან თარგმნა  
შ. ამირანაზგილავა.

მხატვარი ი. სამსონავი.

## ჩანარისები ეპიზოდი

გინდათ, იცოდეთ, როგორ გავხდი  
„ნორჩი ფანტასტთა კლუბის“ წევრი?

ამას წინათ კლასუმა შემომთავაზა:

— კარინა, წამოხვალ ჩემთან ერ-  
თად?

— საით გაგიწევია?

— განა არ იცი, რომ დღეს „ნორჩი  
ფანტასტების კლუბში“ ამალი წევრების  
შიღება?

— სად იკრიბებით?

— პირნერთა ოთახში. ამ კლუბის  
თავმჯდომარე IX-ბ-კლასელი უვე მი-  
ულერია.

— როგორ ხდება კლუბის წევრად  
მიღება?

— რაიმე ფანტასტიკური. დაუკერ-  
ებლი ამბის მოყოლაა საჭირო. მოიფიქ-  
რე შენც რაღაც ამგვარი და წამომყევი-  
ძალზე საინტერესოა.

თავმჯდომარემ შეკრება ზუსტად 5



## ციკლი

ციკლის პირველ დანახვისთანავე თვალში გვეცემა, რომ მასი სხეული ააოცად შეგუებულია ხეებზე ცხოვრებას. მსუბუქი, მოქნილი ტანი და ძლიერი უკანა ფეხები საშუალებას აძლევს ნაღირს გააქცის დიდი — 3-4 მეტრის დიაგონალით ზემოდან ქვემოთ — 10-15 მეტრის ნახტომები. თითქმის ფრენის მსგავსი ამ ნახტომების შესრულებისას მას დიდ დახმარებას უწევს გრძელი ფუმფული კუდი. ყერ ერთი, კუდი საჭესავით მოქმედებს და ემარება ნაღირს უთუოდ მოხვდეს გარიზნულ ტოტზე, ანდა მოხერხებული ვირაულ თავი დააღწიოს მოწინააღმდეგებს. გარდა ამისა, კუდი თითქმის წონის მოუმატებლად, საგრძნობლად ზრდის სხეულის ზედაპირს და პარაშუტის მსგავსად. დიდი სიმაღლიდან გადმოხტომისას ამუხრუქებს ვარდნის სიჩქარეს. მოქნილი, ძჭიდე ბრჭყალები საშუალებას აძლევს ციკლს მოხერხებულად ირბინოს ხეზე და აღვილად შეიკავოს თავი წვრილ ტოტებზეც კი.

ბეჭვის შეფერილობაც ასევე კარგად არის შეხამებული ტყის გარეულისან. იგი სეზონურად ცვალება-ზობს: ზაფხულობით ციკლები შემონილი არიან წითელი ქურქით, ზამთრობით ნაღირი იცვლის სამოსს, ზეწვი უფრო უხშირდება და უგრძელდება, იღებს მოცისფრო-რუხ ფერს. ზამთაო-ზაფხულ შეფერილობის ასეთი ცვალებადობა საშუალებას აძლევს ციკლს ნაკლებ შესამჩნევი ძრას. უნდა ითქვეს, რომ ზამთრის ბეჭვის შეფერილობა და ხარისხი იცვლება გეოგრაფიული განედებისა და გრძელების შესედ-

ვით. ამა დიდი მნიშვნელობა აქვს ბეჭვის საერთაშორისო აუქციონზე, სადაც უმდლესი ხარისხისა და შეფერილობის ბეჭვად ერთხმად აღიარებულია ციმბირული (ტელე-ტელერი) ციკლის ბეჭვი.

ლის საშუალება არ არის, ციკლი ტოტებისაგან თვითონ აგებს შესანიშნავ ბუდეს. ზამთრობით ერთ ბინაში ხშირად რამდენსამე ცხოველს ერთად სძინავს. შესასვლელი ამ დროს ხავსით არის მჭიდროდ გამო-ტური.



ციკლი ბუდეს იკეთებს ხის ფულულიში. აზდა ხშირ ტოტებში. ბინაფრიად კომფორტულია — მოფენილია ხმელი ბალახითა და შლიერებით. ყოველი შემთხვევისათვის. ბუდეს, გარდა მთავარი შესასვლელისა, ერთი სათაღარიგო გასასვლელიც აქვს. მიუხედავად სიპატარავისა, ციკლი შეუპოვარი ხასიათისაა, ბინას ადვილად პოულობს. უბოდი-შოდ დაუფლება ხოლო კაჭკეჭი-ცველაზე დიდ და მკეთრად ნაგებ ბუდეს. ცვავის მიტოვებული ბუდე ხომ მთლიან მისწრებაა — შეფერობებს, განაახლებს. თუ მზამზარეუ-

კატილი. ძლიერი ყინვებისას ნაღირს ეზარება გარეთ გამოსვლა, მაგრამ შიმშილი მაიც აიძულებს მიატოვოს თბილი ადგილსაშოთებული და მიაშუროს ჩამოცვენილ გირჩებსა და შემოდგომით გადამალული სურსათის მარაგს.

მყუდროდ მოწყობილ ბუდეში ციკლი აჩენს და ზრდის შთამომაცლობას. წელიწადში ორ-სამჯერ მრავლდება. შებს სამ-თ უსუსურ ნაშეირს.

იკებება ციკლი ყოველგვარი საკვებით — მცენარეულით, ცხოველებით, მაგრამ მთავარი საკცეპტო.

რა თქმა უნდა, თხილი, რკო და წიწვევებითა გიტების თესლია. ზაფხულობით შეხე ნებივარად წამოწოლა არ უყვარს: იყვებება, თამაშობს. საზამთროდ საკვებს იმარაგებს, ტოტებსა და ეკლებზე ახმობს სოკეებს. ზოგიერთი ორი ათასამდე სოკესაც კი აგროვებს! თხილს კი ასე რჩავს: თაობით გათხრის პატარა ორმოს, პირით ჩაფლავს მიწაში ნაყოფს, თათებითვე წაყარის მიწას და ფოთლებით შენილბავს სამალავს. ნატურალისტთა დაკვირვებით, ხელოვნურ პირობებში წამოზრდილი ციცვი თავის პირველ თხილს ინსტრუქტურად მალავს ბინის რომელსამე შეუძრო კუთხეში. საერთოდ, თხილთან დაკავშირებული მანიულაციები მეტად საინტერესო სანახავია.

როგორ პოულობს ციცვი მიმაღლულსა და თოვლის პერანგჩაცმულ მეტაში თავის „მარაგს?“ ამისთვის ის კარგად განვითარებული ყნოსვა ქვეს. საკვების ძეგნით გართული ნადირი ფრთხილობს, აქეთ-იქით იცჭირება, საკმარისია ოდნავ სეჭვოშრილი, რომ თვალის დახამხამებაში ხის წვერზე მოექცეს.

მოუსავლიანობა ციცვების მასობრივ გადასახლებას — მიგრაციას იწვევს. ამ დროს ფართო ფრონტით —

ას-სამას კილომეტრზე მიმავალი ათასობით ცხოველი მრავალ დაბრკოლებას — მდინარეებს, ჭაობებს, ზღვის უბეებს გადალახავს. ტაიგის მოუსავლიანი ოციანი წლები კარგად ახსოვთ ციმბირელ მონალირებს. მაშინ ციმბირიდან აღმოსავლეთით დაიძრა ციცვების მრავალიცხოვანი ქარავანი. ბევრი დაიღუპა კამჩატკისპირა ტუნდრის უზარმაზარ სივრცეში, მაგრამ უმრავესობაში მაინც მიაღწია კამჩატკის ტყეებს, სადაც ადრე ციცვებს არასოდეს უცხოებიათ. ციცვები იქ დღემდე ბინადრობენ — გაფართოვდა ცხოვლის არეალი.

გამოკვლევამ ცხადყო, რომ ციცვს არ შეუძლია დაუსრულებლად მრავლდებოდეს. ყოველ — 4-5 წელიწადში დგება დეპრესია ჭარბი მოსახლეობის პრობლემის რეგულირებას ციცვი თვითონ ახდენს — წყდება — თათქოს წინასწარი შეთანხმებით, წყნარად, უშფოთოველად. რატომ ხდება ასე? უახლოეს ხანში მეცნიერება აღმართ ამ კიოხვაზეც გასცემს პასუხს.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ციცვების ერთი თვისებაც. ეს პატარა ფუმფულა ლამაზმანები უდიდესი ცნობისმოყვარებით გამოიჩინებიან. რა უნდა გამოჩნდეს ტყეში, რომ ისინი არ მიაჩირდნენ, არ დათვალიერონ, განსაკუთრებით, თუ ეს მათვის უცხოა, ამიტომაც ხდებიან მონაცირისათვის ადვილი ხელმისაწვდომნი. ციცვი ადამიანისაგან კარგ მოპყრობასაც სათანადოდ „აფასებს“. ქალაქებრეთ ტყეებში, პარკებშია და ტყეპარკებში, კურორტებზე, სადაც ადამიანი არ ერჩის, და კვებავს მას, ციცვი სრულიად მორჩილი და თამაში ხდება...

საქართველოში გაგრცელებული ადგილობრივი (ამიერკავკასიური) თუ აკლიმატიზებული (ალტაური და ტელეზტური) ციცვები ჩვენში მშენებირი ბუნების ფრიად საინტერესო წარმომადგენლები არიან.

არ. გეგეგორი,

ბიოლოგიურ მცნიერებათა კანდიდატი.



## როგორ გაჩნდა ქროსვორი

ბავშვებო, ვიცი, რომ კროსვორი იქვენთვის მეტად საინტერესო გასართობია. მისი ამოხსნა გაინტერესებთ და ბევრს შედგენაც გეხერხებათ. ჟურნალ „პიონერში“ ხშირად მინახავს მოსწავლეების მიერ გონივრულად და ოსტატურად შედგენილი კროსვორდები. მაგრამ ბევრმა თქვენგანმა, აღბათ, არ იცის, რომ კროსვორდი ინგლისური ტერმინია და მსოფლიოს თითქმის ყველა ენაში ასე დამკვიდრებული. იგი ნიშნავს „ჯვარედინი სიტყვების გამოცანას“.

მინდა ამ გასართობის ისტორიიდან ერთი ეპიზოდი გიამბოთ:

ერთხელ ინგლისის ქალაქ კამპშტატის ყველაზე დიდი გაზეთის მთავარმა რედაქტორმა საპატიმროდან გამოგზავნილი წერილი მიიღო. კონკრეტში კვადრატებით, ასოებითა და ციფრებით აჭრელებული ფურცელიც იდო. წერილი მოკლედ იუწყებოდა: „ძეირფასო ბატონო, ახალი გასართობი გამოვიგონე, ეგრეთ წილებული სიტყვების გამოცანა, უფრო უსტად, ჯვარედინი სიტყვების გამოცანა და იქნებ თქვენს გაზეთში დაბეჭდოთ“.

რედაქტორს გაეცინა, წერილი თავისძაუნებურად ჯიბეში ჩაიღო და მაღებ მიიღიწყა.

მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს, როდესაც რედაქტორი რამდენსამე მეგობართან ერთად კლებში იჯდა, წერილი გაახსენდა და მათ უჩევნა. ისინი ფრიად დაინტერესდნენ კვადრატებიანი ფურცელით და მაშინვე შეუდგნენ მსოფლიოში პირველი კროსვორდის ამოხსნას. კარგა ხნის ფიქრის შემდეგ პასუხს მიაგნეს და სიხარულით ცას ეწიენ. რედაქტორმა ახლა უკვე სხვა თვალით შეხე-

და ამ საინტერესო გამოგონებას, მეორე დღესვე საპატიმროში მივიდა და კროსვორდის ავტორი ვიქტორ რევილე ინახულა. თურმე, იგი საგზაო ავარიის გამო რამდენიმე წელიწადში საპატიმროში ზის და დროის მოკელისა და მოწყენილობისაგან თავის დასაღწევად ეს გასართობი გამოუგონია. ექიმს უჩევნა, კროსვორდი გაზეთის რედაქციაში გაგზავნო.

და აი ახლა დიდი გაზეთის თვით მთავარი რედაქტორი ვიქტორ ორევილესთან ციხეშია მისული და ახალ კროსვორდებს უკვეთს.

კამპშტატის გაზეთს სხვა ბევრმა ბეჭდებითა თრგანომაც მიპარა და კროსვორდის ეპიდემია მთელ მსოფლიოს მოედო.

ორვილე ამ გონებამახვილურ გასართობზე დღედაღამ მუშაობდა და რედაქციებიც დიდ საფსურს უხდიდნენ, რადგან მკითხველი კროსვორდიან გაზეთის უფრო ეტანებოდა.

ა. ზოთაძე



საშემცირებისათვის მოწყობილ დია აქტებს განაცხულზე და შემოღვრაზე მცე კი ათბობს, ჩავრამ ჰაერის ტემპერატურა იმ დროს მაინც ცივია და აქტებში წყალი სითბოს ვერ ინარჩუნებს. გაუკეთე ავზს ხუთკედლიან თავისებური ხუფი და წყალი შეი მუდამ თბილი იქნება. ოლონდ, ხუფი აუცილებლად გამ-

ჭვირვალე უნდა იყოს — მინისა ან სხვა რამისა.

თუ თერმომეტრში ვერცხლის წყლის სვეტი გაშედა, არ გეგონოს, რომ თერმომეტრი გაფუჭდა. ჩასხი გამში თბილი წყალი და თერმომეტრს შეი თავი ჩაუკოფინე. ვერცხლის წყალს სითბო გააფართოვებს, სვეტი მაღლა აიწევს და გაწევინილი ნაწილები ერთმანეთს გადაემერა.


როცა ჭურჭელს ხუფი მცირდოდ არ ეხურება, ხუფს არგვლივ გამდანარი

სანთლის რამდენიმე წვეთი დალვენთე და ხუფი უელს მცირდოდ მოადგება.


ფიცარში ღრმად ჩამჭდარი და ზემოდან სალებავადასმული ლურსმნის მოძებნა ახ შეიძლება: დამაგნიტული ნემსი ძალის ჩამოყიდე და ფიცრის ზედაპირზე მოატარე. როგორც კი ნემსი ლურსმანს მიუახლოვდება იგი გადაიხრება.

წიგნში გვერდის მოსანიშნავი რამდენიმე სა-

შუალება გაგაცანით ადრე, ახლა ესეც დაიმახსოვრე: გვერდის გადასკეცში ასეთი ციცქა



ქინძისთავი ჩასვი, არც ფურცელი დაზიანდება და საპოვნელ გვერდსაც უმალ იპოვნი.



## საიტიანი

5. ვაილოძე — ეპიზოდი „შევარდენის“ ცხოვრებიდან (ნაკვეთი)	
7. გიგილური — აი, ია (წერილი)	
9. კორძის — „დედაენა“ რა პენა?! (მოთხრობა)	
8. კაპასიძე — მშობლიური „დედაენა“ (ლექსი)	
10. გოგოლოვაძე — მხარდამხარ (მოთხრობა) „ა ი ს ი“	

11. ჩხეთიანი — ლეტაბარების ქვეყანა (პოემა)	18
12. უიზიანი — მეტოქეები (მოთხრობა)	20
13. ლეგანიძე — საბანაკო (ლექსი)	28
14. გვევარიშვილი — ციცვი (ბუნების კარი)	30
15. თურმე —	81
16. გამოგადგები	80
17. ცხრაკლით ული	გარეკანის გარეკანის

გარეკანის მხატვრობა ზურაბ მებარისავილისა



საქ. ქა ცე-ის  
გამომცემლობა

წევი მისამართი:  
თბილის, ლენინის ქ. № 14.  
ტელეფონის ქ. № 93-97-00  
93-31-81  
93-97-08 93-53-05  
განყოფლებების ქ. № 93-97-02  
93-97-01


სარედაქციო კოლეგია: დოდო ვადაშვილის, ზურაბ ლემაშვილი (პ/მგ. მდივანი), ზურაბ ლომიძე, გარიბაძე, გაიორ უოცხილის (მხატვარი-რედაქტორი), გიორგი ქლიბაძე, გიორგი შამანაძე, სიმონ შამცრიბაძე, ლევან ჩიქვანაძე, ზურაბ ჭუმშურიძე.

საქ. ქა ცე-ის გამომცემლობის სტამბა. თბილის ლენინის ქ. № 14.  
«ПИОНЕРИ», на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии  
Типография чл.-ва ЦК КП Грузии. Тбилиси. ул. Ленина № 14.  
გადაეცა ასაშენიად 18/VIII-76 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდია 8/IX-76 წ. ქოდალის უორმატი  
60×90<sup>1/2</sup>. ფიზიკური ნაზევდი ფურცელი 4, სააღრიცხვო-საგანმოცემო თაბაზი 5,35.  
შევ. № 2472. ტარ. 144.300. უ. 00829.

უასი  
20  
კაპიკი

რედაქციის მუშაობის მასალები აგრძელებათ არ უბრუნდებათ.

თბილისში მცხოვრებ ატორებს პასუხი წერილიბით არ ეცნობებათ.



აბა, თუ მიხვდები!

ამ სამ სურათს ერთი შეხედვით არაფერო აქვს საერთო, მაგრამ თუ დაკვირდები, 7 საგანს განციც იპოვი, რომლებიც სამივე სურათზეა გამოსახული.

### პროსჩაინვორდი

1. ოქტომბრის რევოლუციის ლეგენდარული კრეისერი; 2. რამდენამე მუსიკალური ბგერის პარმონიული შეთანხმება; 3. კუნძული კარიბის ზღვაში; 4. ფრანგი კომიტეტიტორი, „უიზელის“ ავტორი; 5. აზრი, ჩანაფიქრი. მთავარი აზრი რისამე; 6. მოედანი საცირკო წარმოდგენებისათვის; 7. წარწერიანი დაფა დაწესებულების შენობაზე; 8. საკუთარი ხელწერა; 9. მიბაძვა; 10. მცენარე; 11. ჰაერის გარსი, რომელიც დედმიწას გარს არტყია; 12. მტაცებელი ფრინველი; 13. სასორტო-სასეირნო გეში;

14. ზეპირად მოარული მოკლე, სასაცილო ამბავი; 15. ქართული ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი; 16. ხელოვნების ნაწარმოობის საჭაროდ შემსრულებელი; 17. მოლოდინი, რწმენა; 18. თვალის ფერადი გარსი; 19. ალ. ყაზბეგის მოთხოვა „მამის მკვლელის“ პერსონაჟი; 20. თევზის სახეობა; 21. ყვავილი; 22. კონტინენტი; 23. წყალბმელება ცხოველი;

ლეგან დიასამიმ,  
ხელვაჩაურის რაონის  
მაძინჯაურის ქართული  
საშუალო სკოლის მოსწავლე.

### გამოიცანი!


თუ გავჭიმავთ თოქს, რომელი რგოლები დარჩება თოქზე ჩამოკიდებული?



### რამდენი ჭლისაა?

კახამ ბებიას ჰქითხა, რამდენი ჭლისა ხარო. „ჩემი ჭლოვანების აღმნიშვნელი რიცხვის ერთი ციფრი შენი ბინაშვილის — დათოს ჭლოვანების ტოლია, მეორე კი შენი დის, მაიას ჭლოვანებისა“. „ვი მაგრამ, მე ხომ არ ვიცი, რამდენი ჭლისანი არიან ისინი!“ — შეეპასუხა კახა. „ოუ ერომანეთს შიუმატებ დათოს, მაიას დაჩემს ჭლოვანებას, მიიღებ 83-ს“, — უთხრა ბებია.

რამდენი ჭლისა ყოფილა ბებია!



### კასები № 8 -ში მოთავსებულ „ცხრაკლიგულზე“

#### გაგა და ჭინდები

ნამძინარევმა გაგამ, ეტუობა, ვერ მოისაზრა, რომ სავებით საკმარისი იყო ამოელო სამი ცალი წინდა. რადგან თუ პირველი ორი წინდა სხვადასხვა ფერისა შეხვდებოდა, მესამე უეჭველად რომელიმეს დაუწყვილდებოდა.

#### გაღაზიაში

მაღაზიაში შვიდი ბოთლი რე ყოფილა. პირ-

ველმა მუშტარმა იყიდა ნახევარი, ე. ი.  $3\frac{1}{2}$  ბოთლი და კიდევ ნახევარი ბოთლი, ანუ სულ ოთხი ბოთლი. დარჩა სამი ბოთლი. მეორემ წაიღო ნახევარი ე. ი.  $1\frac{1}{2}$  ბოთლი და კიდევ ნახევარი, ანუ სულ 2 ბოთლი. დარჩა ერთი ბოთლი, რომელიც მესამე მყიდველმა წაიღო.

#### გამოცანიბი

სალუტი, ბალი და ხეხილი, ზღვა.



გ. სააკაძის  
შანდაკება  
პასპუთი.



მოქანდაკე  
ერავ  
გერმენიშვილი

ფოტო  
გ. ზავიანისა